ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში

2014 წელი, თბილისი

მოამზადა უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა (ECMI)

გაეროს ქალთა ორგანიზაციის / ევროკავშირის პროექტის „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის" (IAGE) ფარგლებში

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდაზე; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე; ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირებაზე ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი და ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც ევროკავშირის მოსაზრებები.

კვლევის კონსულტანტები: ევა ჩილინსკი, გიორგი ბობღიაშვილი, გიორგი სორდია, ელენე პროშიკიანი
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი - ECMI

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2014

ISBN 978-9941-0-7152-2

წინასიტყვაობა

მრავალი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და ა.შ.) წარმომადგენელი ქალები და გოგონები ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას და მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, რეგულარულ ანაზღაურებად სამსახურზე, შემოსავალსა და ქონებაზე, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ასევე ჯანმრთელობის დაცვისა და იურიდიულ მომსახურებაზე, არა აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ისინი უფრო ხშირად განიცდიან სხვადასხვა ფორმის ძალადობას, მათ შორის ოჯახში ძალადობას.

2013 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით და ეთნიკურ უმცირესობათა ევროპულ ცენტრთან თანამშრომლობით, ჩაატარა სამცხე–ჯავახეთსა და კახეთის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებისა და ბოშა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. კვლევის მიზანი იყო იმ ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალებსა და გოგონებს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, და პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების წარმოდგენა აღნიშნული ბარიერების დასაძლევად. კვლევის შედეგად გამოვლენილ ძირითად დაბრკოლებებს განეკუთვნება ქართული ენის უცოდინრობა, გოგონებს შორის საშუალო სკოლის დატოვების სიხშირე (ადრეული ქორწინების გამო), სკოლამდელ დაწესებულებათა ნაკლებობა, რაც ქალებს ხელს უშლის შემოსავლიანი სამსახურის პოვნაში, და ქალთა შეზღუდული წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

ჩვენ გვჯერა, რომ კვლევის შედეგები იძლევა ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს ეთნიკურ უმცირესობებზე, და უზრუნველყოფს სასარგებლო რეკომენდაციებს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისა და გოგონების პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინებისთვის. კვლევის სხვა ბენეფიციარები არიან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ადვოკატირებას, ასევე ის პირები თუ ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების და მათი უფლებამოსილების გაფართოების ადვოკატირებას, და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს ტექნიკურ დახმარებას უწევენ.

ერიკა კვაპილოვა
გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი
საქართველოში

სარჩევი

1. მოკლე შინაარსი 6

2. სამიზნე რეგიონებისა და უმცირესობათა ჯგუფებში მდგომარეობის ანალიზი 11
- 2.1. კვლევის საგანი 11
- 2.2. სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 13

3. მომსახურებების ხელმისაწვდომობა: საჭიროებები და პრიორიტეტები 25
- 3.1. ეკოლოგიური მიგრანტების ფაქტორი უმცირესობათა თემებში 29
- 3.2. ინფრასტრუქტურა 29
- 3.3. ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება 34
- 3.4. განათლება 35
- 3.5. უმცირესობათა ქალების ჩართულობა და წარმომადგენლობა:
- 3.6. გენდერული თანასწორობის აღქმა 38

4. კახეთის რეგიონის ეთნიკურ უმცირესობათა პატარა ჯგუფების – ავარების, ქისტების, ოსების, უდებისა და რუსი მალაკნების – ქალთა საჭიროებები და პრობლემები 41
- 4.1. ავარი ქალები 41
- 4.2. ქისტი/ჩეჩენი ქალები 42
- 4.3. ოსი ქალები 44
- 4.4. უდი ქალები 45
- 4.5. რუსი მალაკანი ქალები 46
- 4.6. აზერბაიჯანელი ქალები 47

5. სომეხი და რუსი დუხობორი ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 51
- 5.1. სომეხი ქალები 51
- 5.2. რუსი დუხობორი ქალები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 53

6. ბოშა ქალები 55

7. მესხი ქალები[1] 58

8. საბაზისო კვლევის დასკვნა 60
- 8.1. ინდიკატორები 60
- 8.2. კრიტერიუმები 61

9. რეკომენდაციები 62

10. ბიბლიოგრაფია 63

1 იგულისხმება თურქი მესხები, რომლებმაც საქართველოში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დაიწყეს დაბრუნება და ოჯახებთან ერთად იზოლირებულ გარემოში დასახლდნენ დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციებით მდიდარ ადგილებში.

ცხრილებისა და გრაფიკების ჩამონათვალი:

ცხრილი 1. კვლევის მეთოდოლოგია 13
ცხრილი 2. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საკრებულოებსა და გამგეობებში ქალთა წარმომადგენლობა 39
ცხრილი 3. კახეთის რეგიონში საკრებულოებსა და გამგეობებში ქალთა წარმომადგენლობა 39
ცხრილი 4. ჩეჩენი/ქისტი ქალების შემოსავლის ძირითადი წყაროები 43
ცხრილი 5. ბოშათა თემი 55
ცხრილი 6. შესრულების შემოთავაზებული ინდიკატორები 61
გრაფიკი 1. საქართველოს ეთნიკური რუკა 11
გრაფიკი 2. დემოგრაფიული მაჩვენებლები 14
გრაფიკი 3. გამოკითხულთა გენდერული გადანაწილება 15
გრაფიკი 4. ოჯახების ტიპები 16
გრაფიკი 5. ოჯახის შემადგენლობა: მამაკაცი და ქალი წევრები 17
გრაფიკი 6. სამოქალაქო სტატუსი 18
გრაფიკი 7. დაქორწინების ასაკი 19
გრაფიკი 8. შემოსავლის წყაროები 20
გრაფიკი 9. ხელფასის დონეები (ლარი თვეში) 21
გრაფიკი 10. ოჯახში ძალადობის აღქმა 22
გრაფიკი 11. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 23
გრაფიკი 12. პრობლემების მოგვარება 24
გრაფიკი 13. ინფორმირებულობა ადგილობრივი მთავრობის ფუნქციებსა და სერვისებზე 27
გრაფიკი 14. საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა 28
გრაფიკი 15. წყლის ხელმისაწვდომობა 30
გრაფიკი 16. ბუნებრივი აირის ხელმისაწვდომობა 31
გრაფიკი 17. გზების და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა 32
გრაფიკი 18. ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა 33
გრაფიკი 19. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა 35
გრაფიკი 20. განათლების ხელმისაწვდომობა 37
გრაფიკი 21. ენის სწავლების საჭიროებები 38
გრაფიკი 22. კულტურული/სამოქალაქო ჩართულობა 40

1. მოკლე შინაარსი

2013 წლიდან ევროკავშირის მხარდაჭერით გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს „ინოვაციური ინიციატივა საქართველოში გენდერული თანასწორობისათვის“ (IAGE), რომლის საერთო მიზანია შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის მიღებისა და განხორციელების გზით საქართველოში მცხოვრებ ქალთა დაუცველი ჯგუფების კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. პროექტის კონკრეტული მიზანია ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა ნდობის აღდგენისა და სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობის კუთხით და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ, პატიმარ, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, ასევე საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ქალთა ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინება.

წინამდებარე კვლევა შესრულდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის დავალებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა და გოგონათა მდგომარეობისა და საჭიროებების შესაფასების და პოლიტიკის დონეზე საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ანგარიშში გამოყენებულია ადამიანის და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შედარებითი ანალიზის მიდგომა. ის მოიცავს ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების ფაქტებზე დაფუძნებულ შესწავლას ადამიანის უფლებების და, აგრეთვე, უმცირესობათა სპეციფიკური უფლებების გათვალისწინებით.

კვლევაში მონაწილეობდნენ სამიზნე რეგიონებში კომპაქტურად ჩასახლებული ათი ეთნიკური ჯგუფის ქალები და გოგონები. ეს ჯგუფებია: **ჯახეთში - ავარები, აზერბაიჯანელები[2], ქისტები/ჩეჩნები, ოსები, რუსი მალაკნები და უდები; სამცხე-ჯავახეთში - სომხები და რუსი დუხობორები.**

ბოშა ქალების მდგომარეობა შესწავლილი იქნა ყველაზე დიდ თემებში ქობულეთში, ქუთაისსა და თბილისში. დამატებით კვლევამ მოიცვა მესხი ქალები ნასაკირალიდან და იანეთიდან. კვლევა განხორციელდა 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

კვლევა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა, ქალთა სოციალური და ეკონომიკური დამოკიდებულების (დამოუკიდებლობის) ჭრილში;
- იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა ჯგუფის შესაბამისი კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით ამ მომსახურების გამოყენება;
- საჯარო სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეებზე;
- ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ელემენტის ხელმისაწვდომობა;
- ოჯახური ურთიერთობების სპეციფიკური გენდერული ასპექტები, როგორიც არის ოჯახში ძალადობა;
- ქალებს შორის გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმირებულობა ადგილობრივ (რეგიონულ და მუნიციპალურ) დონეებზე, მათი პოლიტიკური ჩართულობა და საჯარო ცხოვრებისადმი ინტერესი;
- ეთნიკური იდენტობის დაცვა და შენარჩუნება.

კვლევის მიზანს და ამოცანას წარმოადგენდა საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა ქალების მდგომარეობის შესწავლა, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების დადგენა, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მხრიდან სხვადასხვა მომსახურების მიწოდების დადგენა, ასევე იმის გაანალიზება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეს მომსახურებები ქალთა მოლოდინს და საჭიროებებს; მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოს მიერ გაწეული სხვადასხვა მომსახურების აღქმის შეფასება; და ბოლოს, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების წარმოდგენა.

2 საქართველოში ტერმინით „აზერბაიჯანელი“ აღინიშნებიან თურქული ჯგუფის აზერები, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

მეთოდოლოგია

შეზღუდულ დროში მაქსიმალური შედეგების მიღების მიზნით შერეული მეთოდები იქნა გამოყენებული. ისინი მოიცავდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს: ჩაღრმავებულ ინტერვიუებს კერძო პირებთან (ქალებთან და მამაკაცებთან) და უმცირესობათა წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან - საკრებულოს წევრებთან, ხოლო აღმასრულებელ დონეზე - გამგებლებთან და მათ მოადგილეებთან, აგრეთვე სოციალური სამსახურის უფროსებთან, სახელმწიფო დონეზე კი ორივე რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ოფისების წარმომადგენლებთან, ასევე ფოკუს ჯგუფებს. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ტრადიციული ეთნიკური უმცირესობები საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად ჩასახლებული ორი ჯგუფი - სომხები და რუსი დუხობორები და კახეთში ავარები, აზერბაიჯანელები, ოსები, რუსი მალაკანები, უდები და ჩეჩნები/ქისტები. საგანგებო ყურადღება დაეთმო ბოშა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესწავლას მათ ყველაზე დიდ დასახლებებში: ქობულეთში (დაახლოებით 300 ადამიანი), ქუთაისში (200 ადამიანი) და თბილისში (200 ადამიანი).

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო ადამიანის და უმცირესობათა უფლებების, ასევე გენდერული თანასწორობის სფეროში განხილული უნდა იქნეს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს მიერ რატიფიცირებული გაეროს შესაბამისი კონვენციებია: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICCPR) (1994)[3], რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (ICERD) (1999)[4], ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (CEDAW) (1994), ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC) (1994)[5], ხოლო ეროვნულ კანონმდებლობას ამ სფეროში განეკუთვნება: კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010); კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (2006) და შრომის კოდექსი (2012). ამასთან ერთად, ეროვნული სტრატეგიები, როგორიც არის გენდერული თანასწორობის კონცეფცია და გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-2016), ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმა (2013-2015) და ქალებთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმა (2012-2015), სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ეთნიკურ უმცირესობათა ქალების ცხოვრების გაუმჯობესებას. მართალია, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი ითარგმნა ინგლისურ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, უმცირესობებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ ინფორმაცია ამ კანონის თაობაზე[6]. რაც შეეხება უმცირესობათა უფლებებს, საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის (2006)[7] რატიფიცირება და მასზე დაყრდნობით მთავრობამ მიიღო ეროვნული კონცეფცია ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ და სამოქმედო გეგმა (2009-2014)[8]. მიუხედავად საქართველოს მიერ 1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, აღებული ვალდებულებისა, რომ მოახდინოს რეგიონული ანუ უმცირესობათა ენების ევროპულის ქარტიის რატიფიცირება, პროცესი შეჩერებულია, ხოლო უმცირესობათა ენები დაუცველი.

ადამიანის და უმცირესობათა უფლებების და გენდერული თანასწორობის შესახებ ასეთი ვრცელი საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, სუსტი სააღსრულებო მექანიზმი და შეზღუდული განხორციელება ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნებას კულტურულ/ტრადიციულ

3 წყარო: ECMI Caucasus, Minority issues mainstreaming in the South Caucasus – A practical guide, თბილისი, თებერვალი 2011.

4 წყარო: რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი – შემაჯამებელი დასკვნები, სექტემბერი 2011 http://www2.ohchr.org/english/bodies/cerd/docs/GeorgiaCObs_CERD79.pdf

5 ნარგიზა არჯევანიძე (2012), გენდერული თანასწორობა – საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა. http://css.ge/files/documents/publications/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Eng.pdf

6 ქეთევან ჩხეიძე, „გენდერული პოლიტიკა საქართველოში“, გენდერული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში – კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი, N 21, ნოემბერი 2010.

7 წყარო: http://www.smr.gov.ge/docs/doc227.pdf

8 წყარო: http://www.smr.gov.ge/docs/doc203.pdf

საფუძველზე, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ქალებისა და გოგონებისთვის სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობაზე.

ეკოლოგიური მიგრანტების ფაქტორი

ბევრ მუნიციპალიტეტში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, გადმოასახლეს ეკოლოგიური მიგრანტები სვანეთიდან და აჭარიდან. მათ განსახლებას გავლენა აქვს მიწების გადანაწილებაზე, რაც უმცირესობათა ქალებისთვის საარსებო საშუალების და საცხოვრებლის წყაროს წარმოადგენს. აღნისშნული ფაქტორი აგრეთვე გავლენას ახდენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გადანაწილებაზე. ამასთან ერთად, ეკომიგრანტების (ეთნიკური ქართველების) ჩამოსახლებას მოაქვს ცხოვრების განსხვავებული კულტურა, რაც უმცირესობებს, განსაკუთრებით კი უმცირესობათა ქალებს შორის წარმოქმნის აღქმას, რომ ამ მიგრანტებს განსაკუთრებულად ეპყრობიან. ასეთი სახის დამატებითი ზეწოლა რესურსებით ისედაც ღარიბ ადგილობრივ მოსახლეობაზე ხელს არ უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას[9]. აღნიშნული ზეწოლა ზეგავლენას ახდენს უმცირესობათა ქალებზე, ვინაიდან მათთვის იზღუდება ზემოხსენებული მომსახურებების ხელმისაწვდომობა.

შედეგები

კვლევამ რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის, სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობისა და იდენტობის შენარჩუნების მხრივ. გენდერულ ჭრილში საჭიროებები თითქმის იდენტურია ორივე რეგიონში, თუმცა არის სხვაობა პრიორიტეტებში იდენტობის შენარჩუნებისა და უმრავლესობასთან ინტეგრაციის მხრივ, განსაკუთრებით კი ზოგიერთ ჯგუფში ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების სურვილის მხრივ.

განსაკუთრებით საყურადღებოა წერა-კითხვის უცოდინრობა ბოშა ქალებს შორის, რაც შედეგად იძლევა ყველანაირი მომსახურების ძალზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას და საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბალ დონეს.

ამავე დროს, ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით მცირე ეთნიკური ჯგუფების, ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა საკუთარი კულტურის და იდენტობის შენარჩუნებისთვის მშობლიური ენის სკოლაში სწავლების განახლება (რაც წინა წლებში იქნა გაუქმებული). ქალებისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მათ აკისრიათ შვილების აღზრდა და ისინი გრძნობენ ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას საკუთარი კულტურის და ეთნიკური იდენტობის შთამომავლობისთვის გადაცემაზე. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბევრ ოჯახში ქალები არიან ოჯახის დე ფაქტო უფროსები მამაკაცების შრომითი მიგრაციის გამო.

კვლევამ უმცირესობათა დასახლებებში დიდი სხვაობა გამოავლინა გენდერულ შემადგენლობის მხრივ: უმცირესობათა 60%-ს ქალები და გოგონები შეადგენენ. სხვაობა აღინიშნება ასაკობრივ შემადგენლობაშიც: იზრდება ხანდაზმულ ქალთა რაოდენობა. ეს ყოველივე დაკავშირებულია შრომით მიგრაციასთან (როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ) ძირითადად რუსეთსა და აზერბაიჯანში, ვინაიდან მამაკაცებს არა აქვთ საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობა იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ, და უწევთ ოჯახების დიდი ხნით მიტოვება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მუნიციპალიტეტებს მოეხსნათ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მოვალეობა და იგი გადაეცა სხვა სახელმწიფო უწყებებს. ამან მუნიციპალურ ორგანოებს ჩამოართვა სხვადასხვა მომსახურების მიწოდების დაგეგმვის საშუალება. გარდა ამისა, მცირე მუნიციპალური ბიუჯეტი არ იძლევა მოსახლეობისთვის ადეკვატური სერვისების გაწევის შესაძლებლობას. ეს კი მძიმედ აწვება ქალს, რომელსაც დიდი დრო ეხარჯება ყოველდღიურ საოჯახო საქმეზე და აუცილებელი ინფორმაციის მოძიებაზე.

- ***სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა (მუნიციპალურ და სახელმწიფო დონეებზე)***

კვლევამ აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, უმცირესობათა ქალებს აქვთ მწირი ინფორმაცია არსებულ საჯარო სოციალურ მომსახურებაზე, მეორე მხრივ კი ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდული

9 ევროსაბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით: „ხელმომწერებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ცვლის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის პროპორციებს და მიზნად ისახავს ჩარჩო კონვენციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას“.

უფლებები და ბიუჯეტი ვერ პასუხობენ არსებულ გამოწვევებს. მაგალითად, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა დახმარების მიღება შეუძლებელია პროფესიონალი სოციალური აგენტის დახმარების გარეშე, რომელიც შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მუშაკია და მიდის ოჯახში მხოლოდ დახმარების მიღებისთვის შესაფერისობის შეფასების მოთხოვნის დაფიქსირების შემთხვევაში. ხშირად დიდი მანძილი და ტრანსპორტის უქონლობა აძნელებს ამ პროცესს. საყოველთაო დაზღვევა, რომელიც ახლახანს გავრცელდა საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, არ არის საკმარისი ღარიბი მოსახლეობისთვის, ვინაიდან მათ გარკვეული მომსახურებებისთვის მაინც უნდა გადაიხადონ საფასურის ნაწილი (10-30%). ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის ექიმის რეკომენდაციით, თუ სად შეიძლება შესაბამისი დახმარების მიღება.

• ***იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა***
იურიდიული მომსახურების გაწევაც სხვადასხვა ორგანოს შორისაა გადანაწილებული. მუნიციპალიტეტი ძირითადად გასცემს რეკომენდაციებს და ამისამართებს მოსახლეობას შესაბამის ორგანოებთან. იუსტიციის სახლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეწევიან ასეთ მომსახურებას, არსებობს მხოლოდ რამდენიმე დასახლებაში. კულტურული თავისებურებების გამო ქალები ხშირად პრობლემის გადაწყვეტის სამართლებრივ გზებს კი არ მიმართავენ, არამედ ჩვეულებით სამართალს. ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ მომსახურების სიძვირე არ აძლევს უმცირესობათა ქალებს მისი გამოყენების შესაძლებლობას. ოჯახში ძალადობის შემთხვევაშიც კი არ მიმართავენ შესაბამის ორგანოებს, კულტურული ტაბუს გამო.

• ***სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობა***
უმცირესობების ბევრ თემში ოფიციალური დასაქმება ძალზე შეზღუდულია. უმეტეს შემთხვევაში დამსაქმებელი არის სახელმწიფო, კერძოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები მუნიციპალური და საოფისე სამსახურები. მართალია, უმუშევრობა ზოგადად ყველას პრობლემაა საქართველოში, მაგრამ ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პრობლება კიდევ უფრო მწვავედ დგას. ზემოთ აღნიშნულ ადგილებზე ძირითადად ქალები არიან დასაქმებულები და მათი ხელფასი საკმაოდ დაბალია (საშუალოდ 50-200 ლარი) და არ არის საკმარისი ოჯახის სარჩენად. ხშირ შემთხვევაში ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყაროა არაფორმალური თვითდასაქმება, სოფლის მეურნეობა, წვრილმანი ვაჭრობა და მოხუცების პენსია. ენის ბარიერი პრობლემად რჩება სომეხი, აზერბაიჯანელი და ბოშა მოსახლეობისთვის. დანარჩენი პატარა უმცირესობების ჯგუფები ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. საშუალო განათლებაზე წვდომა ხშირად გართულებულია დიდი მანძილის, ფინანსური ხარჯების და ქალის როლის განსხვავებული აღქმის გამო სხვადასხვა კულტურაში.

მეორე მხრივ, უმცირესობათა ქალები ინდიფერენტულად არიან განწყობილნი საინიციატივო ან სათემო ჯგუფების ჩამოყალიბებასადმი, თუმცა მონაწილეობას მიიღებდნენ ასეთ აქტივობებში, თუ გარე ფაქტორების შედეგად მოხერხდებოდა მათი შეკრება და დაფინანსება. მათ არ აქვთ ინფორმაცია გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და თუ აქვთ, სკეპტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავენ ცვლილების შესაძლებლობის მიმართ.

• ***ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა***
სოფლად ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული. მაგალითად, სასმელი წყლის მიღება ზოგ ადგილებში შესაძლებელია მხოლოდ ძირითად მილსადენებთან ქუჩაში. არც წყლის ხარისხია ყოველთვის კარგი. ქალები და გოგონები ატარებენ ბევრ დროს და ხარჯავენ ბევრ ენერგიას წყლის სახლში მოსატანად. ბუნებრივი აირის და კანალიზაციის სისტემები თითქმის არ არსებობს, გზები და სატრანსპორტო საშუალებები კი საჭიროებენ განახლებას. ეს ყოველივე განაპირობებს იმას, რომ ქალებს მეტი შრომა უწევთ და შესაბამისად ბევრი დრო ეხარჯებათ. სახელმწიფო ტრანსპორტის არარსებობა და კერძო ტრანსპორტის იშვიათობა ხელს უშლის ქალებს სხვადასხვა მომსახურების მიღებაში. თუმცა ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი აღინიშნა როგორც საჭიროება, მაგრამ პრიორიტეტს წარმოადგენს სასმელი წყალი სახლში, ბუნებრივი აირი და გზების შეკეთება.

• ***გენდერული თანასწორობის აღქმა და ინფორმირებულობა***
მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს გენდერული პოლიტიკა და ქალები დასაქმებულები არიან ძირითადად სოციალურ და ადმინისტრაციულ სამსახურებში. ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა ქალები საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი საკრებულოებში ან დასაქმებულნი ადმინისტრაციაში. ინდივიდუალურ დონეზე მამაკაცების როლი განსაზღვრულია როგორც ფულის ძირითადი შე-

მომტანისა, ხოლო ქალთა როლი საოჯახო საქმეებით, ოჯახზე ზრუნვით, მეურნეობითა და წვრილმანი ვაჭრობით შემოიფარგლება.

• ***ეთნიკური იდენტობის დაცვა და შენარჩუნება***

ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება უმცირესობათა უფლებების მნიშვნელოვანი ასპექტია და უმცირესობათა ქალების ერთ-ერთი მთავარი მისწრაფებაა. ამის მიღწევა ენის სწავლებით არის შესაძლებელი. უმცირესობის ქალები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ სკოლებში სასწავლო პროგრამიდან მცირე ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენის ამოღებას და ენის სწავლების კერძო სექტორში გადანაცვლებას.

დასკვნები

როგორც კვლევამ აჩვენა, ქალებს აქვთ თითქმის ერთნაირი საჭიროებები ყველა ეთნიკურ ჯგუფში, თუმცა განსხვავებული პრიორიტეტები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში და პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე. ყველა ეთნიკურ ჯგუფში გამოკითხულმა ქალებმა ახსენეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სოციალური და სამედიცინო მომსახურების - განსაკუთრებით ქალთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების - და ზრდასრულთათვის და ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომი განათლების საჭიროება. ქალებმა მიუთითეს, რომ მომსახურებებზე წვდომას ზღუდავს ინფორმაციის ნაკლებობა და რომ აუცილებელია შემოსავლის გამომუშავების აქტივობების დაგეგმვა. აღინიშნებოდა სკეპტიციზმი პოლიტიკაში ჩართულობასთან და სამოქალაქო აქტივობასთან დაკავშირებით. ბევრი ქალი მოხარული იქნებოდა გაევლო გადამზადების კურსები, თუკი ასეთი კურსები მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს იქნებოდა. კულტურული თავისებურებების გამო განსხვავებულია დამოკიდებულება ქალის უფლებებისადმი, კერძოდ მისი ქორწინების, საკუთრების უფლების და ოჯახში ურთიერთობების საკითხებზე. სამოქალაქო სამართლისთვის მიმართვა პრიორიტეტს არ წარმოადგენს და ქალები უპირატესობას ჩვეულებით სამართლის ანიჭებენ. განსხვავებული დამოკიდებულებაა ენის ცოდნის საჭიროებასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ბოშებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელი ქალების ნაწილმა პრიორიტეტად ქართული ენის სწავლება დაასახელეს, ხოლო დანარჩენებმა რუსულის ცოდნა და მათი მშობლიური ენის, კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება. რამდენიმე ჯგუფმა პრიორიტეტად დაასახელა სამსახური და დასაქმება, ასევე შემოსავლის სტაბილური წყარო და/ან კვალიფიკაციის შეცვლა/ამაღლება გადამზადების კურსების საშუალებით.

ძირითადი რეკომენდაციები

- გაუმჯობესდეს საჯარო მომსახურებაზე წვდომა სოფლად ცენტრალურ ადგილებში სათემო ცენტრების დაარსებით. ეს ცენტრები შეასრულებს აგრეთვე საჯარო მომსახურების ცენტრების ფუნქციასაც;
- გაუმჯობესდეს ძირითადი ინფრასტრუქტურა;
- გადაიხედოს და გამარტივდეს შეფასების სისტემა სოციალური დახმარების მისაღებად;
- გაუმჯობესდეს და გამარტივდეს ზრდასრულთათვის განათლებაზე წვდომა, რათა მათ გაიუმჯობესონ პროფესიული კვალიფიკაცია. ეს გაზრდის მათი დასაქმების შანსებს. გაიზარდოს წერა-კითხვის და ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობა;
- სასკოლო საათების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეეძლოს სკოლის შენობებით სარგებლობა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად და თანამედროვე ტექნოლოგიების შესასწავლად;
- ხელი უნდა შეეწყოს პროფესიული სწავლების კურსებს და სხვა ტიპის განათლებას იმ გოგონებისა და ბიჭებისთვის, ვინც ტოვებს სკოლას;
- გაუმჯობესდეს ქართული ენის სწავლება იმ სომხურ, აზერბაიჯანულ და ბოშების დასახლებებში, სადაც ეს საკითხი პრიორიტეტად სახელდება;
- სასკოლო სისტემაში აღდგეს მშობლიური ენის სწავლება;
- გაფართოვდეს უფლება-მოვალეობები მუნიციპალურ დონეზე და გამგეობებში შეიქმნას გენდერული საკოორდინაციო ცენტრები, მოხდეს ქალთა მობილიზება მათში სამუშაოდ განაცხადის შესატანად;
- გააქტიურდეს ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო მმართველობის სკოლა უმცირესობებისთვის ტრენინგების კუთხით, რათა მათ შეძლონ საჯარო მოხელეებად მუშაობა;
- ეთნიკურ უმცირესობათა ქალებს შორის ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე და ოჯახში ძალადობის პრევენციაზე;
- ხელი შეეწყოს ეთნიკურ უმცირესობათა ქალების მონაწილეობას გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მათ საცხოვრებელ ადგილებში.

2. სამიზნე რეგიონების და უმცირესობათა ჯგუფებში მდგომარეობის ანალიზი

გრაფიკი №1:
საქართველოს ეთნიკური რუკა

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში, აგრეთვე ბოშათა თემის ყველა დასახლებაში ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა მოსახლეობის მდგომარეობის ანალიზი შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით, განსაკუთრებული აქცენტით ქალებსა და გოგონებზე, ასევე კონტექსტის ანალიზი ყველა იმ სამიზნე ადგილას, სადაც კვლევა ტარდებოდა.

2.1. კვლევის საგანი

კვლევა მოიცავდა:

- სოციალურ-ეკონომიკურ მიმოხილვას ქალთა სოციალური და ეკონომიკური დამოკიდებულების (დამოუკიდებლობის) ჭრილში;
- იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობის და სხვადასხვა ჯგუფის შესაბამისი კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით მისი გამოყენების შეფასებას;
- საჯარო სოციალურ მომსახურებაზე მისაწვდომობის შეფასებას როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალურ დონეებზე;
- ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ელემენტზე მისაწვდომობის შეფასებას;
- საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკური გენდერული ასპექტების, როგორიც არის ოჯახში ძალადობა, შეფასებას;
- ქალებს შორის გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმირებულობის შეფასებას ადგილობრივ (რეგიონულ და მუნიციპალურ) დონეებზე, მათი პოლიტიკური ჩართულობის და საჯარო ცხოვრებისადმი ინტერესის შეფასებას;
- ეთნიკური იდენტობის დაცვის და შენარჩუნების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას.

კვლევის მიზანს და ამოცანებს წარმოადგენდა ეთნიკურ უმცირესობათა ქალების მდგომარეობის

კონტექსტზე დამყარებული შესწავლა, საჭიროებების და პრიორიტეტების დადგენა, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების მიერ (მათ შორის სახელმწიფო დონეზე) მომსახურებების მიწოდების დადგენა და იმის გაანალიზება, თუ რამდენად აკმაყოფილებს გაწული მომსახურება ამ ჯგუფების მოლოდინსა და საჭიროებებს. საჯარო მომსახურებით კმაყოფილების შეფასების შედეგად შესაძლებელი გახდება შესაბამისი სერვისების გაუმჯობესების გზამკვლევის შედგენა. და ბოლოს, კვლევა მიზნად ისახავდა სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოებისთვის და ქალთა რეგიონული ორგანიზაციებისთვის შედეგებისა და რეკომენდაციების წარდგენას, ასევე უმცირესობათა ქალებისთვის რეკომენდაციების მომზადებას ინფორმაციის მისაწვდომის გაუმჯობესების, ეთნიკურ უმცირესობათა ქალების მობილიზაციის და, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მათი ჩართულობის ხელშეწყობის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ეთნიკური იდენტობის დაცვის შესახებ.

კვლევაში მონაწილე ეთნიკური ჯგუფები და მათი განსახლების ადგილები

- სომხები (ახალციხე; ახალქალაქი; ნინოწმინდა)
- აზერბაიჯანელები (ყარაჯალა, თელავი; განჯალა, კაბალი, ლაგოდეხის რაიონი)
- ავარები (თივი და ავართა მეზობელი სოფლები, ყვარელი)
- ქისტები/ჩეჩნები (ახმეტა და დუისი, ახმეტის მუნიციპალიტეტი)
- უდები (ზინობიანი, ყვარელი)
- ოსები (არეშფერანი/ლელიანი, ლაგოდეხის რაიონი)
- რუსი მალაკნები (ილიაწმინდა, დედოფლისწყაროს რაიონი)
- რუსი დუხობორები (გორელოვკა, ნინოწმინდას რაიონი)
- ბოშები (ქუთაისი, ქობულეთი და თბილისი)

ფოკუს ჯგუფების შეხვედრებისა და კვლევაში შესწავლილი რეგიონების მუნიციპალურ ადმინისტრაციებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი იხილეთ დანართ 1-ში.

შეზღუდულ დროში მაქსიმალური შედეგების მიღების მიზნით შერეული მეთოდები იქნა გამოყენებული. კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, ინტერვიუებს კერძო პირებთან (ქალებსა და მამაკაცებთან) და უმცირესობათა წარმომადგენლებთან, ასევე ფოკუს ჯგუფებს.

რაოდენობრივი კვლევისთვის ინტერვიუები და გამოკითხვის მეთოდი იქნა გამოყენებული. შერჩევის ზომა შეადგენდა 227 ადამიანს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ქალებს და მამაკაცებს, ხოლო ცდომილების ზღვარი 5.45%-ია (რაც 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 139,692-იანი პოპულაციის ზომას ასახავს). თითოეული ეთნიკური ჯგუფის მიხედვით დაყოფა შეუძლებელი იყო, რადგან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ მოძველებულია. მაგალითად, ბოშების შემთხვევაში 2002 წლის აღწერის მიხედვით რეგისტრირებული იყო 450 ადამიანი, მაშინ, როცა კვლევამ გამოავლინა, რომ მხოლოდ ქობულეთში 300, ხოლო ქუთაისის თემში 200-მდე ბოშა ცხოვრობდა (იხ. ცხრილი 2).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, ეს ჯგუფი მოიცავდა პოლიტიკის დონის (საკრებულოების წევრები) და აღმასრულებელი დონის წარმომადგენლებს (გამგებლები, სოციალური დეპარტამენტების ხელმძღვანელები), ხოლო სახელმწიფო დონეზე ორივე რეგიონში რწმუნებულის ოფისებს. მათი კვლევაში ჩართვა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მოპოვებას გაწეული მომსახურებების (ინფრასტრუქტურა, იურიდიული და სოციალური მომსახურებები), ასევე უმცირესობების, განსაკუთრებით კი ქალთა ჩართულობისა და წარმომადგენლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ძირითადად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები.

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ საქართველოში ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ჯგუფები; სომხები და რუსი დუხობორები კახეთში; ავარები, აზერბაიჯანელები, ქისტები/ჩეჩნები, ოსები, რუსი მალაკნები, ასევე უდების თემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბოშა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესწავლას მათ ყველაზე დიდ დასახლებებში: ქობულეთში (დაახლოებით 300), ქუთაისში (დაახლოებით 200 ადამიანი) და თბილისში (დაახლოებით 200 ადამიანი). კვლევაში განხილულია მესხი ქალების მდგომარეობაც, რომლებმაც საქართველოში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დაიწყეს დაბრუნება და ოჯახებთან ერთად იზოლირებულ გარემოში დასახლდნენ დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციებით მდიდარ ადგილებში.

ცხრილი №1:
კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია	რაოდენობრივი კვლევა	თვისებრივი კვლევა
მეთოდი	ინტერვიუ, გამოკითხვები	ფოკუს ჯგუფი
სამიზნე ჯგუფი	კერძო პირები ყველა ეთნიკური ჯგუფიდან	ქალები და მამაკაცები
		მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები; სოციალური სამსახურის ადმინისტრაცია
სამიზნე მოსახლეობა	ეთნიკური უმცირესობები: სომხები, ავარები, აზერბაიჯანელები, ქისტები, თურქი მესხები, ოსები, ბოშები, რუსები (მალაკნები, დუხობორები, უდები	13-18 წლის გოგონები, ზრდასრული, 19-70 წლის ქალები, 40-60 წლის მამაკაცები
სამიზნე რეგიონები, დასახლებები	სამცხე–ჯავახეთი, კახეთი	ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური დასახლებები
რაოდენობა	227 ინტერვიუ	12 ფოკუსჯგუფი (136 მონაწილე)
შესწავლის პერიოდი	**2013 წლის ოქტომბერ–ნოემბერი**	**2013 წლის ოქტომბერ–ნოემბერი**

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის სტრუქტურა დაფუძნებულია იდენტიფიცირებულ რეგიონებში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედარებით ანალიზზე გრაფიკული ფორმით, რასაც მოსდევს თითოეული ჯგუფის საჭიროებებისა და პრიორიტეტების უფრო დეტალური ანალიზი. დასკვნები და რეკომენდაციები კი მოიცავს წინადადებებს იმ ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემოღებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობათა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების მხრივ არსებული პრობლემების წარმატებულ გადაწყვეტას.

2.2. სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში ასახულია სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობათა ქალების მდგომარეობის, საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიმოხილვის შედარებითი ანალიზი. რესპონდენტები გაერთიანდნენ წარმომადგენლობით ასაკობრივ ჯგუფებში, რომლებიც ასახავდა სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ ქალთა რაოდენობას.

გრაფიკი №2:
დემოგრაფიული მაჩვენებლები



გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობა ასახავს ეთნიკურ ჯგუფებში ამჟამად არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას – ქალები ძირითადად გადანაწილებულნი არიან 30-70 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, მათ შორის რუს მალაკანებში 70 წელს გადაცილებულ ქალთა უდიდესი ნაწილი აღინიშნება. ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდების მიგრაციაა, მაშინ, როდესაც ასაკოვანი ქალები რჩებიან საქართველოში. ამ ყოველივეს გავლენა ექნება ადეკვატური სოციალური, ჯანდაცვის, სამედიცინო და ინფრასტრუქტურული მომსახურებების მიწოდებაზე.

გამოკითხულთა დემოგრაფიული მდგომარეობა და ანალიზი ნაწილობრივ ასახულია რესპონდენტთა გენდერულ შემადგენლობაშიც.

გრაფიკი №3:
გამოკითხულთა გენდერული გადანაწილება



გარემოს იდენტიფიცირება, რომელშიც ისინი გაიზარდნენ, აქვთ პასუხისმგებლობები და მხარდაჭერა, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ზრდასრული ქალის ცხოვრებას.

როგორც მე-3 გრაფიკზეა ნაჩვენები, კვლევაში მონაწილე უმცირესობის ქალთა უმეტესობა ცხოვრობს გაფართოებულ ოჯახებში, რომლებიც წარმოადგენს მათი ქმრების კომლს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური დახმარებების მისაღებად. საქართველოს კანონმდებლობა სოციალურ დახმარებებს ნუკლეარული ოჯახის ეკონომიკური და სოციალური პირობების შეფასების პრინციპით განსაზღვრავს, მაშინ, როცა შეფასებაში მიეთითება გაფართოებულ ოჯახის საერთო მისამართი და ქონება. შეფასებაში აღინიშნება ნებისმიერი საერთო ნივთი თუ ქონება, მათ შორის საქონელი და საოჯახო ნივთები, მიუხედავად იმისა, რომ კომლში შეიძლება 2-3 ნუკლეარული ოჯახი ცხოვრობდეს.

გრაფიკი №4:
ოჯახების ტიპები



ეთნიკურ უმცირესობათა ოჯახების გენდერული შემადგენლობა

გამოკითხულ ოჯახებში ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის კიდევ ერთი ნიშანია ქალთა გაცილებით დიდი რაოდენობა, რაც მეტწილად გამოწვეულია მამაკაცების სამსახურებრივი მიგრაციით. ხშირ შემთხვევაში მიგრაციის პერიოდი გრძელვადიანია (სულ მცირე სამი თვე ან განმეორებადი, რაც გამოწვეულია მიმღებ ქვეყანაში ცხოვრების წესის რეგულაციებით). რიგ შემთხვევებში მამაკაცები აღარ ბრუნდებიან უკან, თუმცა ფინანსურად ეხმარებიან ოჯახს. შედეგად ქალები ოჯახის დე ფაქტო ლიდერები ხდებიან, რასაც თან მოსდევს ამ სტატუსთან დაკავშირებული დამატებითი ფუნქციები და მოვალეობები. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ისინი ხდებიან ქონების ოფიციალური მფლობელები, უბრალოდ ხშირად ქალი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ხდება.

გრაფიკი №5:
ოჯახის შემადგენლობა: მამაკაცი და ქალი წევრები



ოჯახური მდგომარეობა და დაქორწინების ასაკი ეთნიკურ უმცირესობათა ქალებში

როგორც მეექვსე გრაფიკი მიუთითებს, გამოკითხულ ქალთა უმეტესობა იყო გათხოვილი. საქართველოში ქორწინება/განქორწინება შეიძლება სამოქალაქო ან რელიგიური იყოს, თუმცა მუსლიმ საზოგადოებაში (ავარები, აზერბაიჯანლები, ქისტები, თურქი მესხები) ჩვეულებითი სამართლის ქორწინებები ჭარბობს, როლებიც არ არის რეგისტრირებული სამო_ქალაქო კანონის შესაბამისად. ბოშა ქალებიც ძირითადად არარეგისტრირებულ ქორწინებებში იმყოფებიან. შედეგად ჩვეულებითი სამართლის ეს პრაქტიკა დიდ გავლენას ახდენს ქალთა შესაძლებლობაზე მიიღონ სოციალური დახამრება, დარეგისტრირდნენ როგორც ქვრივი, ოფიციალურად განქორწინდნენ და მიიღონ საკუთრების უფლება ან სხვა ეკონომიკური სიკეთეები, განქორწინების შემთხვევაში კი არასრულწლოვან ბავშვებზე მეურვეობის უფლების მოპოვება ხშირად იზღუდება.

გრაფიკი №6:
სამოქალაქო სტატუსი



ქალთა და გოგონათა დაქორწინების ასაკი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიხედვით განსხვავდება, თუმცა ეს სხვაობა თანდათან უფრო მცირდება. ორი ფაქტორი თამაშობს აქ მნიშვნელოვან როლს – 1) ტრადიციული ხედვა, რომ ადრე დაქორწინება იცავს გოგონას მოტაცებისგან; 2) ეკონომიკური ფაქტორები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მოსახლეობისთვის: ერთი მხრივ, მეტი მუშახელი და, მეორე მხრივ, ნაკლები მზრუნველობის საჭიროება დიდ ოჯახებში. ტრადიციულად მუსლიმ საზოგადოებაში პატარძალი ტოვებს მისი მშობლების კომლს და უერთდება მეუღლის შინამეურნეობას. ქრისტიან მოსახლეობაშიც იგივე ტრადიციაა, თუმცა სომხებში, ოსებში, უდებში, დუხობორებსა და მალაკნებში დაქორწინების ასაკი უფრო მაღალია და მეუღლის კომლში პატარძლის გადასახლება ძირითადად ეკონომიკური პირობებით ან ახალ ოჯახთან ადაპტაციის ტრადიციით არის განპირობებული.

გრაფიკი №7:
დაქორწინების ასაკი



მფლობელობისა და საკუთრების უფლებები
სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფში ოჯახის ქონების ფლობის განსხვავებული, კულტურაზე დაფუძნებული მიდგომები არსებობს. მუსლიმი მოსახლეობის უმეტეს ნაწილში ქალებისთვის მემკვიდრეობითობა არ არსებობს და მათ არ აქვთ ქონების განკარგვის უფლება. საკუთრების უმეტესობა გაფორმებულია ქმრის სახელზე, რადგან ქალი უერთდება მეუღლის კომლს. ეს გამორიცხავს ქალისთვის საშუალებას, ბანკიდან აიღოს სესხი მისი ბიზნესის და სხვა ეკონომიკური საჭიროებებისთვის, მეორე მხრივ კი ქალს მიჯაჭვულს ხდის ოჯახთან მისი დაშლის შემთხვევაშიც კი. მართალია, ქალთა უმეტესობას გააჩნია ინფორმაცია საკუთრების ფლობის უფლების შესახებ, მაგრამ ტრადიციულად ისინი მაინც ჩვეულებითი სამართლის მიმდევრები არიან. ამ ეტაპზე, როცა მამაკაცების უმეტესობა ემიგრაციაშია, ქალთა თანამფლობელობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კაპიტალზე, ქონებასა და დანაზოგებზე სოფლად მოსახლე ქალების ხელმისაწვდომობის მხრივ, მათი ეკონომიკური განვითარებისა და დამოუკიდებლობისთვის. ეს ხელს შეუწყობს მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცების დახმარება დაასტაბილურებდა ოჯახს და ხელს შეუწყობდა სხვა შესაძლებლობების განვითარებას.

შემოსავლის წყაროები და ხელფასის დონე
როგორც მე-8 გრაფიკზეა გამოხატული, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში შემოსავლის ძირითად წყაროებს სოციალური დახმარებები, საზღვარგარეთიდან გადმორიცხვები და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ბოშები, მათი ურბანული განსახლების გამო, წვრილმან ვაჭრობაში არიან ჩართულნი. ლაგოდეხისკენ მიმავალ მთავარ გზაზე მოსახლეობის სიმრავლის გამო ვაჭრობა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს აზერბაიჯანულ სოფლებშიც.

სასოფლო-სამეურნეო და წვრილმანი ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად არაფორმალური ეკონომიკის ნაწილია, მიწის მცირე ნაკვეთებს ხშირად ქალები და გოგონები ამუშავებენ.
ხელფასის წყაროს კი საჯარო სექტორში დასაქმება წარმოადგენს – უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ საჯარო სამსახურებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლის მასწავლებლები, საბავშვო ბაღის მასწავლებლები), იშვიათად - კერძო სექტორში.

გრაფიკი №8:
შემოსავლის წყაროები



საჯარო სექტორში ხელფასები ძალიან დაბალია, ხოლო სამუშაო ადგილების რაოდენობა შეზღუდული. საბავშვო ბაღის მასწავლებლის საშუალო ხელფასი 100 ლარს უტოლდება, ხოლო 20%-ით დაბეგვრის შემდეგ მხოლოდ 80 ლარს. ასეთი სამსახურის ერთადერთი დადებითი მხარე ჯანმრთელობის დაზღვევაა, მაგალითად, მასწავლებელთა კორპორატიული დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა. საქართველოში ყველაზე დაბალ პენსიასთან (რაც 120 ლარს უტოლდება) შედარებით საჯარო სექტორში აღებული ხელფასი, ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, არანაირ სტიმულს არ ქმნის.

გრაფიკი №9:
ხელფასის დონეები (ლარი თვეში)



ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობად უმეტეს შემთხვევაში აღიქმება ფიზიკური ძალადობა. ძალადობის სხვადასხვა სახეს, როგორიც არის ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, არც კი განიხილავენ ქალთა უფლებების დარღვევად. ეს დამახასიათებელია არა მარტო ეთნიკური უმცირესობებისთვის, არამედ ქართული საზოგადოებისთვისაც[10].

სამი ტიპის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური) ძალადობიდან, ორი უფრო გამოკვეთილია და შესაძლებელია მათი განხილვა ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. სიტყვიერი (ფსიქოლოგიური) ძალადობა, რომელიც საქართველოში ყველაზე გავრცელებული ფორმაა[11], კულტურული იდენტობის და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. შესაბამისად, მისი შემდგომი შესწავლა არ იქნებოდა კვლევისთვის დამატებითი ღირებულების მომტანი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სიტყვიერ ძალადობას ქალებიც და მამაკაცებიც იყენებენ და რთულია მისი იდენტიფიცირება, მაშინ, როცა ფიზიკური ძალადობა ადვილად ამოსაცნობია, ისევე, როგორც ეკონომიკური ძალადობა (საკუთრების უფლება, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა).

მართალია, ძალადობის თავიდან აცილებისთვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბდა, მაგრამ მსხვერპლები იშვიათად იყენებენ პრობლემის სამართლებრივი მოგვარების გზებს და ეყრდნობიან პრინციპს „ოჯახის საქმე ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს“. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია როგორც მსხვერპლისთვის, ასევე მოძალადისთვის. ქმრებთან ერთად აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფებში ქალისა და ბავშვების მიმართ ხშირად დედამთილებიც ძალადობენ. დედამთილი, როგორც ყველაზე უფროსი ქალი, საშინაო ტერიტორიის მმართველია და იგი მიმართავს ხოლმე ფიზიკურ ძალადობას რძლების მიმართ.

10 Chitashvili, Marine; et. al. (2009): National The Research on Domestic Violence against Women in Georgia. p. 63

11 წყარო: http://www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/AdvanceVersions/GeorgiaAnnexX.pdf

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ძალადობის კიდევ ერთი ფორმა - ეკონომიკური ძალადობა[12]. ის განისაზღვრება როგორც ეკონომიკურ რესურსებზე, სამსახურის ძებნაზე, ფინანსური რესურსების განკარგვაზე კონტროლის დაწესება. ასეთ სიტუაციაში ქალებისგან ელიან, რომ ხელფასი და სხვა შემოსავალი ოჯახს გადასცენ და ამასთან ერთად იმუშაონ მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციებზე და შეზღუდონ საკუთარი კარიერული წინსვლა. ეს აგრეთვე გულისხმობს გოგონების მიერ განათლების მიღების შეზღუდვას. ეკონომიკური ძალადობის ასეთი ფართო განსაზღვრება არ არის მოცემული ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც შემოიფარგლება საკუთრების უფლების, შრომითი საქმიანობის და თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვით[13]. ყველაზე მეტად ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი ბოშა ქალები და გოგონები არიან, რაც დეტალურად არის აღწერილი ბოშების შესახებ თავში.

გრაფიკი №10:
ოჯახში ძალადობის აღქმა



ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისთვის, მათ შორის არსებული რესურსების გამოყენების თვალსაზრისითაც. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინფორმაციის მიწოდება ტელევიზიის მეშვეობით ძირითადად ქართულ ენაზე ხდება. უმცირესობათა ქალები ნაკლებად უყურებენ ტელევიზორს დროის უქონლობის და ინფრასტრუქტურის პრობლემების (ელექტროენერგიის უქონლობა) გამო. გარდა ამისა, ისინი ძირითადად უყურებენ უცხოურ ტელევიზიებს მათ სალაპარაკო ენაზე. ტელევიზიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის ძალიან მოკლე და არ წარმოადგენს სრულ და ადეკვატურ ინფორმაციას. ინფორმაციის წყაროებია, აგრე-

12 Adams, A.E.; Sullivan, C.M; Bybee, D.; Greeson M.R. (2008): “Development of the Scale Economic Abuse”

13 საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 4, „ე“ პუნქტი, 2006 წელი.

თვე, მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მეგობრები. ინტერნეტი ინფორმაციის მიღებისთვის საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ვინაიდან მათ აქვთ უკეთესი წვდომა და შესაბამისი ტექნიკური უნარები. უმცირესობათა ქალებს იშვიათად აქვთ ინტერნეტზე წვდომა და ისინი ძირითადად სხვების საშუალებით იღებენ ინფორმაციას, შესაბამისად, ხშირად მიმართავენ მეგობრებს როგორც მეორად, თუმცა შესაძლოა დამახინჯებულ წყაროს. ფლაერები უმცირესობათა ენებზე ან თუნდაც ქართულად იშვიათად რიგდება და საერთოდ იშვიათად მზადდება[14].

გრაფიკი №11:
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა



14 ინფორმაციაზე უმცირესობათა წვდომა მოხსენიებულია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2012 წლის მონიტორინგის ანგარიშში http://www.smr.gov.ge/docs/doc255.pdf

გრაფიკი №12:
პრობლემების მოგვარება



პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში ქალები მის მოსაგვარებლად ძირითადად იყენებენ ისეთ ტრადიციულ საშუალებებს, როგორიცაა ოჯახი, უხუცესთა საბჭო ან მეგობრები. თუ საქმე შეეხება უფრო ოფიციალურ საკითხებს (როგორიცაა სოციალური დაახმარება), მაშინ მიმართავენ მუნიციპალიტეტის მომსახურებასაც. სახელმწიფო დონეზე დახმარების მიღება ძალიან შორეული და გართულებული ჩანს, ამიტომ მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა გზა ამოწურულია. შესაბამისად, უმცირესობები იშვითად სარგებლობენ სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამებით.

3. მომსახურებების ხელმისაწვდომობა: საჭიროებები და პრიორიტეტები

ძირითადი სახელმწიფო სერვისები
მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს რამდენიმე მომსახურებას, მათ შორის სოციალური დახმარებასა და იურიდიულ მომსახურებებს, მათზე წვდომა რთულია სხვადასხვა მიზეზის გამო. ამის ერთ-ერთი მიზეზია უმცირესობათა ქალების მიერ ქართული ენის, როგორც ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალების, მინიმალური ცოდნა, რაც ხელს უშლის უმცირესობათა ქალების მიერ პროგრამებზე წვდომას.

სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა (სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის) მიზნად ისახავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. თუმცა პროგრამას გააჩნია შეფასების რთული სისტემა, სხვადასხვა სახის უკმარისობისთვის ქულების მინიჭებით. სისტემა აგებულია ქონებისა და საქონლის „მთლიანად შეფასებაზე“ (სახლი, შინაური ცხოველები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მიუხედავად მათი ასაკის და მდგომარეობისა, და შემოსავალი). იმის გამო, რომ ძირითადად ქალები ითხოვენ ასეთი ტიპის დახმარებას, ხშირია იმედგაცრუებაც. სოციალური მუშაკი საკუთარი სურვილით არ მიდის ოჯახებში, განმცხადებლები თავად უნდა მივიდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომელიც უმეტესწილად საკმაოდ დაშორებულ მანძილზე მდებარეობს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათთვის განაცხადების ქართულ ენაზე შევსების სირთულეზე[15].

არსებობს შემწეობის სხვა პროგრამებიც ახალშობილთათვის, შშმ პირებისთვის, თუმცა ამასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა რთულია მათთვის, ვისაც ინტერნეტზე წვდომა არ აქვს და არ იცის, თუ როგორ მიიღოს ინფორმაცია[16].

2013 წლიდან საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უფასოდ მოქმედებს **საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა**[17] (ძირითადად გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებები). ის არ ფარავს ყველა ტიპის მომსახურებას და გარკვეული სერვისები 10-30%-ის თანადაფინანსების მეთოდით ხორციელდება, ხოლო 5 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში 20%-იანი თანადაფინანსებით. ზოგი ასაკობრივი ჯგუფისა და დაავადების მქონე ადამიანებისთვის უფასო მედიკამენტებით სარგებლობაა შესაძლებელი. სახელმწიფო დაზღვევა ფარავს სამშობიარო კლინიკების მომსახურებასაც. რეგიონების ბევრი პატარა საავადმყოფო და ამბულატორია გაუქმდა, რამაც გაართულა ჯანდაცვის მომსახურებებზე წვდომა. ეს კი განსაკურებით მოქმედებს ქალებზე, რომელთაც სჭირდებათ სამედიცინო მომსახურება (ორსულობა, ქალური დაავადებები) ან რომლებიც ზრუნავენ ავადმყოფებზე.

ზოგადი განათლება (დაწესებულებები, მასწავლებლის ანაზღაურება, სასკოლო ინვენტარი, სასკოლო წიგნები) 12 კლასამდე უფასოა, მაშინ, როცა ყველა სხვა საფეხური ფასიანია, გარდა შემთხვევებისა, როდესაც პროფესიული და უმაღლესი განათლება ფინანსდება პერსონალური გამოცდების შედეგების მიხედვით. მე-9 კლასამდე სწავლა სავალდებულოა, თუმცა უმცირესობათა, განსაკურებით ბოშების, ბავშვების უმეტესობა არ დადის სკოლაში ან დადის იშვითად.

2014 წლიდან დაგეგმილია უფასო პროფესიული განათლების შემოღება, თუმცა სულ რამდენიმე პროფესიული კოლეჯი არსებობს საქართველოში და, როგორც წესი, მხოლოდ რეგიონის ცენტრებში და იქ სწავლის მისაღებად სულ მცირე სამი თვის

15 წყარო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34
16 წყარო: http://www.unicef.org/georgia/BASS_final-eng.pdf
17 წყარო: http://www.unicef.org/georgia/BASS_final-eng.pdf

განმავლობაში ტრანსპორტირება ან ადგილზე ცხოვრებაა საჭირო. ოჯახური მიზეზებისა და სახლიდან დიდი ხნით წასვლის შეუძლებლობის გამო პროფესიული განათლება ხელმიუწვდომელია ქალებისთვის. ამასთან ერთად, სწავლების ენა არის მხოლოდ ქართული, რაც უმცირესობებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორია[18].

ინფრასტრუქტურა და მთავარი გზები, საჯარო ტრანსპორტის გარდა

სახელმწიფოს კიდევ ერთი მოვალეობაა შესაბამისი ინფრასტუქტურისა და გზების უზრუნველყოფა. რეგიონებში, დიდი ქალაქების გარდა, საჯარო ტრანსპორტი ჩაანაცვლა კერძო კომპანიებმა. სამარშრუტო ტაქსის („მარშრუტკა“) სისტემა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც მარშრუტი ოპერატორებისთვის მომგებიანია. შესაბამისად, უმცირესობათა ჩასახლების ბევრ ადგილას ტრანსპორტირება შეზღუდულია როგორც სიხშირის, ისე ადგილების უქონლობის თვალსაზრისით. შემოსავლის შეზღუდულობის გამო ტრანსპორტირების ფასებიც გავლენას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ქალებისთვის სოფლის გარეთ სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

სახელმწიფო იურიდიული მომსახურება

იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამსახურის ბიურო[19] უზრუნველყოფს ძირითად იურიდიულ მომსახურებას (იუსტიციის სახლები). ეს სახლები მომხმარებლებს ერთი სარკმლის პრინციპით 300-მდე სახეობის მომსახურებას სთავაზობს. ამ დროისთვის მთელ საქართველოში 12 საჯარო სამსახურის ბიურო არსებობს, ძირითადად დიდი ქალაქებში, ხოლო პატარა მუნიციპალიტეტებში ისინი არ არის წარმოდგენილი. კვლევაში განხილული მუნიციპალიტეტებიდან მხოლოდ ყვარელში მუშაობს იუსტიციის სახლი სრული დატვირთვით.

იუსტიციის სახლების მიერ მოწოდებული სერვისები:

- მოქალაქეთა რეგისტრაცია – პირადობის მოწმობის გაცემა; ბინადრობის მოწმობის გაცემა
- დაბადების მოწმობა
- ქორწინების მოწმობა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად
- საკუთრების რეგისტრაცია
- ბიზნესის რეგისტრაცია
- სხვა დოკუმენტების გაცემა
- დოკუმენტების გამოთხოვა არქივიდან

იუსტიციის სახლებში შესაძლებელია კომპიუტერული მოწყობილობის გამოყენება და საკუთარი თავის მომსახურება. სულ ახლახან სერვისების განვითარების სააგენტომ დაიწყო საჯარო მომსახურების პატარა ერთეულების დაარსება შორეულ რეგიონებში, მაგალითად, ფოკაში.

სხვადასხვა სერვისზე დაწესებულია სახელმწიფო გადასახადები, მაგალითად, ბავშვის დაბადების და ქორწინების რეგისტრაცია 50 ლარამდე ღირს. ეს გადასახადები და დიდი მანძილი ხშირად ადგილობრივი მოსახლეობისთვის ოფიციალური დოკუმენტების აღებისთვის წინაღობას წარმოადენს. დაურეგისტრირებელი ბავშვი კი ვერ იღებს სასკოლო ვაუჩერს და უფასო სასკოლო წიგნებს ოფიციალურად (მაგალითად, ბოშა ბავშვები), ასევე ქალებს, რომლებიც ითხოვენ სოციალურ დახმარებას მათთვის და შვილებისთვის, არ აქვთ უფასო სახელმწიფო დაზღვევაზე წვდომა.

პერსონალური მონაცემების შეგროვება მთლიანად სამოქალაქო სამსახურის ბიუროს მოვალეობაა, მუნიციპალიტეტებს ჩამოერთვათ ეს ფუნქცია, მათ შორის ეთნიკური შემადგენლობის აღწერა. შესაბამისად, ეს კომპონენტი სრულიად გაუთვალისწინებელი გახდა სტატისტიკურ მონაცემებში, რადგან საჯარო სამსახურის ბიურო არ აწარმოებს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღრიცხვას და შემდეგ საქართველოს სტატისტიკის სამსახურისთვის (საქსტატი) გადაცემას. საქსტატი არ უზრუნველყოფს ასეთ ინფორმაციას ყოველწლიურად და იგი ქვეყნდება მხოლოდ მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვასთან დაკავშირებით (ბოლო აღწერა ჩატარდა 2002 წელს, ხოლო შემდეგი 2014 წლისთვის არის დაგეგმილი).

18 Development in Eastern Europe and the South Caucasus, Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova and Ukraine; OECD Publishing, OECD (2011), http://dx.doi.org/19.1787/8789264113039, pp.159, 164

19 წყარო: http://psh.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=2

სერვისები მუნიციპალურ დონეზე

ვინაიდან ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავიანთი პრობლემების გადასაწყვეტად მუნიციპალურ ხელისუფლებას მიმართავს, რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, თუ იციან ადგილობრივი მთავრობის ფუნქციების შესახებ. გამოკითხულთა თითქმის ნახევარს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მომსახურებებს ეწევა მუნიციპალიტეტი.

გრაფიკი №13:
ინფორმირებულობა ადგილობრივი მთავრობის ფუნქციებსა და სერვისებზე



მუნიციპალური ხელისუფლების უფლებებისა და ფუნქციების შესახებ ცოდნის ნაკლებობა გამოწვეულია ინფორმაციის ხელმიუწვდომლობით და იმ შეზღუდული მომსახურებებით, რომლებსაც მუნიციპალიტეტები საკუთარი ბიუჯეტებიდან ეწევიან, რაც მთლიანი მუნიციპალური ბიუჯეტის 5%-ზე ნაკლებს წარმოადგენს. მუნიციპალური ბიუჯეტი ძირითადად ცენტრალური მთვარობიდან გადარიცხვებით ფინანსდება დასახული ამოცანების შესაბამისად, საბიუჯეტო მოთხოვნების საფუძველზე, თუმცა ეს მოთხოვნები ყოველთვის არ კმაყოფილდება.

მთავარი მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული სერვისები შეზღუდულია და ეს ძირითადად საკონსულტაციო მომსახურებებია. სერვისები განსხვავდება მუნიციპალიტეტების, მათი პრიორიტეტებისა და დაფინანსების მიხედვით. ძირითადი სერვისები მოიცავს:

- სოციალური მუშაკების მხრიდან სოციალურ დახმარებაზე კონსულტაციებს და გადაუდებელ დახმარებას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის ეკომიგრანტებისთვის;
- ჯანდაცვის საკითხებს (მათ შორის გადაუდებელ საკითხებს)
- სამართლებრივ კონსულტაციას
- სკოლამდელ განათლებას (მთლიანი პასუხისმგებლობა)
- სკოლებში ტრანსპორტირებას (მთლიანი პასუხისმგებლობა)
- კულტურულ ღონისძიებებს
- ადგილობრივ ინფრასტრუქტურას (სოფლის დახმარების პროგრამის განხორციელებას), საჯარო ტრანსპორტის გამოკლებით

ქალთა მიერ დასახელებული ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ეთნიკურ უმცირესობათა ქალებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, რომ თავიანთი შვილები საბავშვო ბაღში ატარონ. ბევრი საბავშვო ბაღი დაიხურა იმის გამო, რომ მშობლებს უნდა გადაეხადათ საბავშვო ბაღში ბავშვების სიარულის საფასური და პარალელურად ბავშვებისთვის ეტარებინათ საკვები. მშობლების ფინანსური პრობლემების გამო მუნიციპალიტეტები იძულებულნი გახდნენ, დაეხურათ რამდენიმე საბავშვო ბაღი. 2013 წლიდან საბავშვო ბაღები უფასო გახდა, თუმცა მუნიციპალიტეტებს არ აქვთ სახსრები, რომ გაარემონტონ ისინი. ეთნიკურ უმცირესობათა ქალები საბავშვო ბაღებს განიხილავენ როგორც მნიშვნელოვან საგანმანათლებლო დაწესებულებას მათი შვილებისთვის, სადაც ბავშვებს შეუძლიათ მიიღონ ადრეული საბავშვო უნარები, მათ შორის ისწავლონ ქართული ენა. საბავშვო ბაღი ასევე აძლევს ქალებს საკმარის დროს იმისათვის, რომ მეტი შემოსავალი გამოიმუშაონ თავიანთი ოჯახებისთვის. ბაღების არსებობა მნიშვნელოვანია შედარებით მოზრდილი ბავშვებისთვის, რადგან მათ შეეძლებათ, დაძმების მოვლის ნაცვლად, სრულფასოვნად იარონ სკოლაში.

სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მოშორებული სოფლებიდან ახალგაზრდების მიერ 3-4 კილომეტრის დაფარვა ყოველდღიურად რთულია ან საჭიროებს დედების თანხლებას. მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტი ახერხებს სრულ ტრანსპორტირებას. მოსალოდნელია, რომ 2014 წლისთვის დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად მუნიციპალიტეტებს ექნებათ მეტი თავისუფლება საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაში მომსახურებების მისაწოდებლად.

გრაფიკი №14:
საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა



3.1 ეკოლოგიური მიგრანტების ფაქტორი უმცირესობათა თემებში

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა აქტიურად ასახლებდა ეკოლოგიურ მიგრანტებს სტიქიური უბედურებებისკენ მიდრეკილი მთავარი ზონებიდან - აჭარიდან და სვანეთიდან[20]. განსახლება ძირითადად მოშორებით განლაგებულ სოფლებში განხორციელდა, რომლებიც უმცირესობებით არის დასახლებული, თუმცა ადგილობრივებთან მიგრანტების ინტეგრაციის მხარდაჭერა არ მომხდარა[21].

უმცირესობათა სოფლებიდან მიგრაციის შედეგად დაცარიელებული სახლები ეკომიგრანტების შესახლების მარტივ საშუალებად იქნა მიჩნეული, თუმცა ამან დამატებითი პრობლემები გააჩინა. ბევრ შემთხვევაში განსხვავებულ კულტურულ და რელიგიურ გარემოში სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლამ, რომ საბაზრო ფასზე ნაკლებად გაეყიდათ სახლები, დამატებითი დაძაბულობა გააჩინა. რამდენიმე შემთხვევაში ეკომიგრანტებმა კანონიერი მფლობელის თანხმობის გარეშე დაიკავეს სახლები[22].

ამასთან ერთად, ეკომიგრანტების გადაუდებელი სოციალური დახმარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ტვირთად დააწვა, რამაც დანარჩენი მოსახლეობისთვის გააუარესა მდგომარეობა. მიუხედავად საჩივრებისა, განხორციელდა მიწების განაწილება ეკომიგრანტებისთვის. მიწის განაწილების საკითხები ბევრგან ჯერაც არ არის მოგვარებული.

ასეთი პრობლემა თითქმის ყველა შესწავლილ თემს შეეხო[23], გარდა ახალქალაქის ურბანული მოსახლეობისა, სადაც ეკომიგრანტები არ გადაუსახლებიათ.

3.2. ინფრასტრუქტურა

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე პრობლემა, რომლებსაც ეთნიკურ უმცირესობათა ქალები ყოველდღიურად ეჩეხებიან. ინფრასტრუქტურის გაუმართაობა ქალთათვის დამამცირებელი ცხოვრების საფრთხეს წარმოადგენს, რაც მათ პირად განვითარებაზე ცუდად აისახება. ქვემოთ განხილულია ოთხი ძირითადი ინფრასტრუქტურული გაუმართაობა - წვდომა წყალზე, გაზსა და ელექტროენერგიაზე და სავალი გზების მოუწესრიგებლობა.

გამოკვლეული ეთნიკური ჯგუფებიდან უმეტესობაში ოჯახის ფუნქციონირების შენარჩუნება ქალის უპირველესი მოვალეობაა, რის გამოც წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა პირველ რიგში სწორედ მათ აწვებათ. შესაბამისად, ყველა აღნიშნული პრობლემის დეტალური შესწავლა მნიშვნელოვანია ამ კვლევისთვის. ამით შესაძლებელი გახდება თითოეულ თემში არსებული რეალური მდგომარეობის აღწერა.

სტრუქტურული თვალსაზრისით ანგარიში აღნიშნავს ყველა იმ ინფრასტრუქტურულ გაუმართაობას, რაც კვლევამ გამოავლინა და შემდეგ ის მიმოიხილავს თითოეული ეთნიკური უმცირესობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრობლემებს.

მეთოდოლოგიურად კვლევის სოციალური ხასიათის გამო კითხვები, რომლებიც რესპონდენტებისთვის იქნა დასმული, მიზნად ისახავდა თითოეული ინფრასტრუქტურული კომპონენტის მიმართ მათი დამოკიდებულების და კმაყოფილების გაზომვას. კვლევის მიზანი არ იყო (და ვერც იქნებოდა), ტექნიკურად გაზომილიყო წყალზე, გაზზე, ტრანსპორტირებასა და ელექტროენერგიაზე წვდომა. ამის გაზომვა გასცდებოდა კვლევის ფარგლებს.

20 წყარო: http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_53_en.pdf

21 დემოგრაფიული ბალანსის შესაცვლელად 1990-იანი წლების დასაწყისში ეკომიგრანტები გადაასახლეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა ტერიტორიებზე. იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტროს ინფორმაციით, მათ შეუძლიათ გადაასახლონ 100-მდე ოჯახი, თუმცა მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო განსახლება ძირითადად სპონტანურად ხდება, რაც ართულებს დასახლების შემდგომ მათი ადაპტაციის პროცესსაც. http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-130.pdf p. 4

22 Elene Khachapuridze Eco-migration – challenge for Georgia. Elene Khachapuridze. 19.01.2012. News Portal www.netgazeti.ge http://netgazeti.ge/GE/89/Life/7827/

23 ეკომიგრანტები კახეთში: ილიაწმინდა, არეშფერანი, ჭიაური, ახმეტა, ლაგოდეხი. დედოფლისწყარო, სარუსო; Info CENN [info@cenn.ge; CENN Eco-migration in the South Caucasus Countries - ანგარიში მარტი, 2013 - მარტი 2014.

შესაბამისად, კითხვები ჩამოყალიბდა ისე, რომ მაქსიმალურად გაზომილიყო რესპონდენტების მიერ არსებული პირობების აღქმა და მათი კმაყოფილების ხარისხი.

- **წყალმომარაგება**

სასმელი წყლის მიწოდება სახლებში სერიოზულ პრობლემად რჩება. საქართველოს სოფლების უმეტესობაში ეს ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, რომლის ფარგლებში მოსახლეობისთვის სასმელი წყლის სახლებში მიწოდება უპირველესი პრიორიტეტია. შესაბამისად, წყლის უკმარისობის დასაძლევად ჩამოყალიბდა პროექტები და ზოგიერთ სოფელში მოეწყო ადგილები, სადაც სასმელი წყალი უწყვეტად მოედინება, თუმცა სასმელი წყალი სახლებში კვლავ ხელმიუწვდომელია და სოფლად მცხოვრებლებს სჭირდებათ დიდ მანძილზე წყლის მოზიდვა (უმეტესად კი ქალებს, ტრადიციებიდან გამომდინარე შრომის განაწილების შედეგად).

როგორც მე-15 გრაფიკზეა ასახული, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ახალქალაქი. აქ ეს პრობლემა ასე თუ ისე მოგვარდა და ეთნიკურად სომეხ ქალებს სახლში აქვთ სასმელი წყალი.

გრაფიკი №15:
წყლის ხელმისაწვდომობა



• **გაზმომარაგება**

ბუნებრივი აირის ხელმისაწვდომობა ორ მნიშვნელოვან ასპექტზე ახდენს ზემოქმედებას - საჭმლის მომზადებასა და გათბობაზე. მიუხედავად იმისა, რომ „გაზი ყველა სოფელს“ ცენტრალური მთავრობის მიზანს წარმოადგენდა, გამოკითხულთაგან მხოლოდ ლაგოდეხის რაიონის აზერბაიჯანლებით დასახლებულ სოფლებში აქვთ გაზი, რასაც დადებითად აფასებენ ქალები. კახეთის მხარეში გათბობისა და საჭმლის მომზადების ალტერნატიულ წყაროს შეშა წარმოადგენს, რომლის ვაუჩერები (7მ3) ურიგდებათ კომლობით. მართალია, შეშა ხელმისაწვდომია, მაგრამ საჭიროა მისი ყიდვა და სახლში მიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობას უწევს ტყეში წასვლა, ხეების მოჭრა და სახლში მიტანა. ეს ყოველივე დაბალშემოსავლიანი და მარტოხელა ოჯახებისთვის პრობლემას წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთში, ჯავახეთის ზოგიერთ ადგილას შეშაზე წვდომა შეზღუდულია, ვინაიდან იქ თითქმის არ არის ტყეები. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას სომხების და დუხობორების თემებში, არა მარტო კერძო სახლში, არამედ სკოლებში, ბაღებსა და სხვა დაწესებულებებში. სოფლებში ქალები ახმობენ წივას და გათბობის საშუალებად იყენებენ.

გრაფიკი №16:
ბუნებრივი აირის ხელმისაწვდომობა



• **გზები და ტრანსპორტირება**

გამართულ ტრანსპორტირებას გზების შეკეთება სჭირდება. ამ მხრივ ორი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიყოფა: 1) დასახლებამდე მისასვლელი მთავარი გზები და 2) დასახლებებს შიგნით არსებული გზები.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გამართული გზები მნიშვნელოვანია ცენტრთან კავშირის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით კი მუნიციპალური მომსახურების მიღებისთვის. უმეტეს შემთხვევაში, სადაც კარგი გზებია, ტრანსპორტზე წვდომაც შესაძლებელია. თუმცა დასახლებებში გზები იმდენად დაზიანებულია, რომ იქ ტრანსპორტირება მეტად რთულია. ქალებს და ბავშვებს დიდ მანძილზე სიარული უწევთ, სოფლამდე მისვლა რთულია სასწრაფო გადაუდებელი სამსახურებისთვისაც. რაც შეეხება ტრანსპორტს, კვლევამ გამოავლინა, რომ არც ერთ დასახლებაში მუნიციპალური ტრანსპორტი არ არსებობს. ყველა მარშრუტი კერძო კომპანიების მიერ არის ათვისებული.

თითქმის ყველა ეთნიკური წარმომავლობის ქალმა გზები ერთ-ერთ პრიორიტეტულ საჭიროებად დაასახელა. მე-17 გრაფიკი ასახავს თითოეული ეთნიკური ჯგუფის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

გრაფიკი №17:
გზების და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა



• **ელექტროენერგია და გარე განათება**

თითქმის ყველა რესპონდენტს თანაბრად პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით. ქალთა უმეტესობა კმაყოფილია ამ მხრივ. თუმცა პანკისის ხეობაში კვლავ აღინიშნება შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. მიუხედავად იმისა, რომ იქვე ახლოს არსებობს ჰიდროელექტროსადგური, ელექტროენერგიის მიწოდება მაინც შეზღუდულია საათობრივად (3-4 საათი დღეში).

გარე განათების საკითხიც იქნა წამოწეული, როგორც ერთ-ერთი ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. მართალია, ბევრ შემთხვევაში გარე განათება გარემონტდა, პრობლემა აქ მისი ტექნიკური შენარჩუნებაა. თუ დაზიანდა სისტემა, მის შეკეთებას საკმაოდ დიდი ხანი სჭირდება. ცუდი გზების გამო ქალებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გარე განათება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

გრაფიკი №18:
ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა



კვლევის შედეგად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით შემდეგი საჭიროებები და პრიორიტეტები გამოიკვეთა:

საჭიროებები: წყლის მიწოდება სახლებში; სასმელი და ჩამდინარე წყლის განცალკევება; გაზმომარაგება; გზების შეკეთება; გარე განათება; საჯარო ტრანსპორტი; უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდება; დახმარება გათბობის უზრუნველყოფაში; კულტურის სახლი შეკრებებისთვის

პრიორიტეტები: წყლის მიწოდება სახლებში; გაზმომარაგება; გზების შეკეთება.

კიდევ ერთი დასახელებული ასპექტი საზოგადოებრივი შეკრებისთვის სპეციალური სახლის არარსებობაა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლები მიეკუთვნება განათლების სამინისტროს, ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს საშუალება, ისარგებლოს სკოლების შენობებით. შეკრების ადგილები, რომლებიც ადრე არსებობდა, გაუქმდა და აღარ შეკეთებულა. ეს იყო ადგილობრივი მთავრობის მოვალეობა, თუმცა მწირი რესურსების გამო მხოლოდ რამდენიმე თუ აღდგა.

3.3. ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება[24]

სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა მისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის: მოსახლეობის უმეტესობა უკვე დაზღვეულია საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. მაგრამ რესპონდენტების უმეტესობა უკმაყოფილოა ამ პროგრამით. სახელმწიფოს თანადაფინანსება არ არის საკმარისი პაციენტთა სერიოზული მკურნალობისთვის და მათ უმეტესი სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდა უწევთ.

ჯანდაცვის სისტემის პრობლემები შესწავლილ რეგიონებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ფოკუს ჯგუფების და ინდივიდუალური შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ უმცირესობებს, განსაკუთრებით კი უმცირესობათა ქალებს არ აქვთ ადეკვატური წვდომა ჯანდაცვის სისტემაზე. უფრო მეტიც, ჯანდაცვის არსებული დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების მიწოდებას.

მომსახურებების ასეთი ფუნქციონირება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრებ უმცირესობათა ქალებზე. ისინი უვლიან ოჯახის ავადმყოფ წევრებს, მიჰყავთ ექიმთან და მოაქვთ მედიკამენტები. ამასთან ერთად, გადაუდებელ სიტუაციებში სასწრაფო დახმარების სამსახურების ეფექტიანი მუშაობა გართულებულია ცუდი გზების გამო. არც ქალებისთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება არსებობს.

მართალია, თითქმის ყველა სამიზნე რეგიონში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი) ფუნქციონირებს საავადმყოფოები, მაგრამ მათ არ აქვთ შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, რომ გააკეთონ ოპერაციები. ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას საჭიროების შემთხვევაში უწევს რეგიონულ ცენტრში ან დედაქალაქში წასვლა. ესეც ქალებს აწვება ტვირთად.

იგივე სიტუაციაა ადგილობრივ ამბულატორიებშიც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ მუნიციპალიტეტებში მცირე რაოდენობის სამედიცინო ამბულატორიებია. მართალია, უმეტეს სოფლებში არსებობს ამბულატორიები (ძირითადად მუნიციპალურ ცენტრებთან ახლოს), მაგრამ მათ მიერ გაწეული მომსახურება არაადეკვატურია. უმეტეს შემთხვევაში აქ მომუშავე ექიმები არ სთავაზობენ პაციენტებს სამედიცინო მომსახურებას და შემოიფარგლებიან მხოლოდ კონსულტაციით, თუ სად უნდა მივიდნენ ისინი მომსახურების მისაღებად. აფთიაქებიც იშვიათია ამ დასახლებებში, ისინი უმეტესად მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და დიდ სოფლებში არსებობს.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცირე ეროვნული უმცირესობები უფრო განიცდიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დეფიციტს. მხოლოდ მალაკნების სოფელ ილიაწმინდაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ურბანულ დასახლებებში მცხოვრები აზერბაიჯანლები არიან კმაყოფილნი ადგილობრივი სამედიცინო მომსახურებით.

24 Tamari Rukhadze “An overview of the health care system in Georgia: expert recommendations in the context of predictive, preventive and personalized medicine”, 2013 http://www.epmajournal.com/content/4/1/8

გრაფიკი №19:
სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა



საჭიროებები: თანადაფინანსების შემცირება; ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებები; აფთიაქები; ქალებისთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება; საავადმყოფოები.
პრიორიტეტები: ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებები; ქალებისთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

3.4. განათლება

კვლევის განმავლობაში განათლების სხვადასხვა ასპექტი იქნა გათვალისწინებული. ფოკუს ჯგუფების შეხვედრების დროს ყურადღება გამახვილდა ზოგად განათლებაზე, პროფესიულ განათლებასა და უმაღლეს განათლებაზე და ეს საკითხები გაანალიზდა პროექტის სამიზნე რეგიონებში[25].

ქალთა და გოგონათა განათლების დონე
ა) ზოგადი განათლება:
ზოგადი განათლების სისტემაში რამდენიმე პრობლემა გამოვლინდა. უმცირესობათა განსახლების ბევრ ადგილას ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მე-9 კლასამდე, მაშინ, როცა მე-12 კლასამდე სწავლა ტრანსპორტირებასა და ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. მე-9 კლასის შემდგომი სწავლება გოგონებისთვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია კულტურულ-ტრადიციული ფასეულობების გამო (რომ გოგონები გათხოვდებიან და მათ არ სჭირდებათ საბაზოზე მაღალი დონის განათლება და რომ განათლება ხელს შეუშლის მათ სახლში/მეურნეობაში მუშაობაში და შემოსავლის მოპოვებაში). მცირე ეთნიკურ უმცირესობებთან (ავარები, უდები, ოსები, რუსები, ქისტები/ჩეჩნები) უმეტეს შემთხვევაში სწავლა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, მაშინ, როცა დაწყებითი კლასების ბავშვები მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. ეთნიკური უმცირესობების მცირე ჯგუფებში მშობლიური ენის სწავლება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ჯგუფებისთვის სწავლება შესაძლებელია მათ საკუთარ ენაზე, თუმცა სასკოლო წიგნები ქართული სახელმძღვანელოების თარგმნილი ვერსიებია. თარგმნილი წიგნები არაადეკვატურია და შეიცავს ბევრ ტერმინოლოგიურ და სტრუქტურულ შეცდომას. ისინი არ ყოფილა განხილული სფეროს შესაბამისი ექსპერტების მიერ. სომეხი და აზერბაიჯანული თემისთვის ქართული ენის სწავლების საათები სკოლებში არ არის საკმარისი.

25 წყარო: http://www.mes.gov.ge/index.php?lang=geo

ბ) პროფესიული განათლება

ეროვნული უმცირესობების თემებს ოფიციალურად აქვთ წვდომა პროფესიულ განათლებაზე როგორც სამცხე-ჯავახეთის, ისე კახეთის რეგიონებში. მაგალითად, ახალციხეში არის პროფესიული განვითარების კოლეჯი - საჯარო სამსახურის იურიდიული პირი „ოპიზარი“, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაჭრეთში - სასოფლო-სამეურნეო განხრის პროფესიული განვითარების ცენტრი „აისი“, ქუთაისში - „იბერია“, ხოლო ბათუმში „შავი ზღვის“ კოლეჯი. დანარჩენი კოლეჯები ფასიანია[26]. მაგრამ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები არ არის ხელმისაწვდომი ეროვნული უმცირესობებისთვის, ვინაიდან ამ დაწესებულებების საქმიანობა არ არის ფოკუსირებული ეთნიკურ უმცირესობათა თემებზე და არც უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკაა გათვალისწინებული. ამ დაწესებულებებს არ აქვთ ქართულ ენის კურსები დამწყებთათვის და კურსები მხოლოდ სკოლების შენობებში არსებობს. ვინაიდან ეს გოგონებისგან მოითხოვს სახლიდან უფრო დიდი ხნით წასვლას, უმცირესობათა გოგონებისთვის კურსებზე სწავლა განსაკუთრებით რთულია.

გ) უმაღლესი განათლება

კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლეს განათლებაზე წვდომის მხრივ გარკვეული პროგრესი აღინიშნება. ფოკუს ჯგუფების შეხვედრებისა და პერსონალური ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ „1+4“ პროგრამამ[27] გაზარდა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა, თუმცა მხოლოდ სომეხი, აზერბაიჯანელი და ოსი სტუდენტებისთვის. კახეთის აზერბაიჯანული თემიდან (ძირითადად თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაჯალიდან) ძირითადად გოგონები სარგებლობენ „1+4“ პროგრამით. სხვა ეთნიკურ ჯგუფებს კვლავ უჭირთ უპირატესობის ამ სისტემით სარგებლობა უმაღლეს სასწავლებლებში.

დ) ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრაციის სკოლა - შესაძლებლობა უმცირესობებისთვის საჯარო ადმინისტრირების სფეროში [28]

აღნიშნული სკოლა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით დაარსდა 2006 წელს, რათა გადაწყვეტილიყო უმცირესობების ადგილობრივ ადმინისტრაციაში ჩართულობის პრობლემა, განსაკუთრებით სომეხ და აზერბაიჯანელთა თემებში. სკოლა მსურველებს სთავაზობდა ქართული ენის ექვსთვიან ინტენსიურ კურსს და ორწლიან საგანმანათლებლო პროგრამას საჯარო ადმინისტრირებაში. სკოლას აქვს კარგი შენობები, ასევე საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის. მისი ფუნქციონირების პერიოდში სკოლაში ძირითადად ახალგაზრდა ქალები სწავლობდნენ. ეს პროგრამა მოქმედებდა 2010 წლამდე და მას მერე მოქმედებს მხოლოდ ენის შესწავლის კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია არაქართული სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის. ეთნიკურ უმცირესობებს შორის ინფორმაცია ამ სკოლის შესაძლებლობების შესახებ ძალიან მწირია. ასევე კარგი იქნებოდა, აღდგეს საჯარო ადმინისტრირების კომპონენტი, რათა გაძლიერდეს ქალთა ადგილობრივ დონეზე ჩართულობა.

ქვევით მოცემული გრაფიკი[29] ასახავს სხვადასხვა ტიპის განათლების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ეროვნული უმცირესობისთვის. გრაფიკის მიხედვით ზოგადი განათლება (1-9 კლასები) ხელმისაწვდომია უმცირესობების ყველა თემში თითქმის თანაბრად გოგონებისა და ბიჭებისთვის, ბოშა მოსახლეობის გამოკლებით, რომელიც ყველაზე მარგინალურ ჯგუფს წარმოადგენს. ბოშა ქალებისა და გოგონების განათლების პრობლემები დეტალურად არის განხილული ბოშების შესახებ თავში.

26 პროფესიული განათლების კოლეჯები www.profes_ENG_20_07_2012.xlx

27 “1+4“ პროგრამაში იგულისხმება მინისტრის #300 ბრძანება რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს - ძირითადად სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, აფხაზებსა და თურქ მესხებს - უმარტივებს უმაღლეს განათლებაზე წვდომას. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთი - უნარ-ჩვევების გამოცდის ჩაბარებას მშობლიურ ენაზე. სწავლების პირველი წელი ითვალისწინებს ქართულის ენის გაძლიერებულ სწავლებას და მას შემდეგ ოთხწლიან ჩვეულებრივ საბაკალავრო პროგრამას. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1711180&lang=ge

28 წყარო: www.zspa.ge

29 წყარო: http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_46_en.pdf

გრაფიკი №20:
განათლების ხელმისაწვდომობა



ენის სწავლების საჭიროებები

ქართული ენის ცოდნის პრიორიტეტულობა განსხვავდება უმცირესობათა ჯგუფებში. მაგალითად, ქართული ენის სწავლა პრიორიტეტია სომეხი, აზერბაიჯანელი, დუხობორი, თურქი მესხი და ბოშა ქალებისთვის, ხოლო დანარჩენები სრულყოფილად ფლობენ ქართულს. ავარებმა, ქისტებმა, ოსებმა, მალაკნებმა და უდებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ მშობლიური ენა, რომელიც 2012-1013 წლებში განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით ამოღებული იქნა სასწავლო პროგრამიდან. ყველა შესწავლილ ადგილას რუსული ენის ადრეულ ეტაპზე სწავლება პრიორიტეტად დასახელდა[30]

საჭიროებები: ზოგადი განათლება - 10-12 კლასები; მშობლიური ენების სწავლება სკოლებში; პროფესიული განათლების ტრენინგები; გაუმჯობესებული „1+4“ პროგრამა და მისი გავრცელება სხვა უმცირესობებზეც; ზრდასრულთა განათლება

პრიორიტეტები: მშობლიური ენების სწავლება სკოლებში; ზოგადი განათლება - 10-12 კლასები; პროფესიული განათლების ტრენინგები; ზრდასრულთა განათლება

30 უმცირესობების ენების საჭიროებები დეტალურადაა განხილული თითოეული ჯგუფის შესაბამის თავში.

გრაფიკი №21:
ენის სწავლების საჭიროებები



3.5. უმცირესობათა ქალების ჩართულობა და წარმომადგენლობა: გენდერული თანასწორობის აღქმა

ქალთა ჩართულობის და წარმომადგენლობის დონე სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის მხარეებში დაბალია. სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალები წარმოდგენილნი არიან მხოლოდ დაბალ და საშუალო დონეებზე. რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, ექვსი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა რაოდენობა მხოლოდ 14.5%-ს შეადგენს. მართალია, მათი რაოდენობა გამგეობებში უფრო დიდია (24%), მაგრამ ისინი დასაქმებულნი არიან მხოლოდ სამდივნო პოზიციებზე.

ეთნიკურ ჭრილში უმცირესობათა ქალების წარმომადგენლობითობა განსაკურებით უგულებელყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში. სამცხე-ჯავახეთში უმცირესობათა ქალები არჩეულნი არიან მხოლოდ ახალციხეში (სომეხი ქალი) და ნინოწმინდაში (სომეხი ქალი). რაც შეეხება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებს, ექვსივე გამგეობაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი მხოლოდ 45 ქალია დასაქმებული.

ცხრილი №2:
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საკრებულოებსა და გამგეობებში ქალთა წარმომადგენლობა

საკრებულოს წევრი	ახალციხე	ახალქალაქი	ნინოწმინდა
მამაკაცები	23	30	17
ქალები	3	0	2
ეთნიკურ უმცირესობათა ქალები	1 (სომ)	0	1 (სომ)
გამგეობაში დასაქმებული			
მამაკაცები	66	135	93
ქალები	35	27	18
ეთნიკურ უმცირესობათა ქალები	4 (სომ)	23 (სომ)	17 (სომ)

კახეთში ქალთა ჩართულობა უფრო მაღალია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში. მაგალითად, ქალები წარმოდგენილნი არიან ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში: ახმეტაში - 4, თელავში - 3; ყვარელში - 1; ლაგოდეხში - 4. მიუხედავად ამისა, ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ქალი მხოლოდ ერთ, თელავის საკრებულოშია წარმოდგენილი.

კახეთის მუნიციპალიტეტების გამგეობებში დასაქმებულთა 80%-ს ქალები შეადგენენ, თუმცა მათი უმეტესობა წარმოდგენილია სამდივნო და საშუალო დონის პოზიციებზე. ზოგადად ქალები არ არიან გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე.

ცხრილი №3:
კახეთის რეგიონში საკრებულოებსა და გამგეობებში ქალთა წარმომადგენლობა
(2014 წლის ივნისის ადგილობრივ არჩევნებამდე)

საკრებულოს წევრი	ახმეტა	თელავი	ყვარელი	ლაგოდეხი
მამაკაცები	21	25	20	21
ქალები	4	3	1	4
ეთნიკურ უმცირესობათა ქალები	0	1 (აზ)	0	0
გამგეობაში დასაქმებული				
მამაკაცები	-	-	-	-
ქალები	-	80%	90%	80%
ეთნიკურ უმცირესობათა ქალები	1	0	0	0

სამოქალაქო ჩართულობა

ეთნიკურ უმცირესობათა ქალების სამოქალაქო ჩართულობის და მობილიზაციის დონე ორივე რეგიონში დაბალია. ისინი მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ისეთ აქტივობებში, რომლებიც დაკავშირებულია მათ კულტურასთან ფართო გაგებით, მათ შორის მათი შვილების კეთილდღეობასთან. მათგან მხოლოდ მცირე რაოდენობის ქალები იღებენ მონაწილეობას ან ქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს ან საინიციატივო ჯგუფებს.

ა) სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთში არ არსებობს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია. ქალები მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციაში, თუმცა მათი გავლენა

არის მინიმალური, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (ახალქალაქი და ნინოწმინდა).

ამავდროულად გენდერული თანასწორობის საკითხები არ განიხილება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ოფიციალურ პრიორიტეტებსა თუ რეგიონის განვითარების სტრატეგიებში გენდერული პრობლემები არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების ახლად მიღებული სტრატეგია და 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმა უგულებელყოფს გენდერული თანასწორობის პრობლემატიკას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ ქალები, პროცესს ძირითადად რწმუნებულის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა. უფრო მეტიც, დოკუმენტზე მომუშავე ოთხი სამუშაო ჯგუფიდან ორს ქალები ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს გენდერული საკითხების ლობირება[31]. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზოგადად რეგიონში ქალებს არ აქვთ ინფორმაცია გენდერთან დაკავშირებული საკითხებზე. ქალთა აქტიური ჩართულობის მიუხედავად, რეგიონის განვითარების სტრატეგიაში გენდერული პრობლემების ასახვა ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

ბ) კახეთი

სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, გენდერული პრობლემები არ არის გათვალისწინებული კახეთის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ, თუმცა დონორთა დახმარების შედეგად პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში გენდერული კლუბები დაარსდა. კლუბები მუდმივად ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს სოფელ დუისში და განიხილავენ რეგიონული მნიშვნელობის საკითხებს, როგორიცაა სოციალური პრობლემები და განათლების მიღების შესაძლებლობები. სოფელ დუისში ოფიციალურად არსებობს თემის განვითარების შესაძლებლობა. მაგალითად, „კახეთის განვითარების ფონდი“ ადგილობრივებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს სთავაზობს უფასო გადამზადების და პროფესიულ კურსებს, ისევე, როგორც სხვადასხვა სპორტულ აქტივობას. თუმცა ორგანიზატორები მოსახლეობის დაბალ ინტერესსა და მოტივაციას უჩივიან.

გრაფიკი №22:
კულტურული/სამოქალაქო ჩართულობა



31 Samtskhe-Javakheti Regional Development Strategy 2014-2021. წყარო: http://static.mrdi.gov.ge/52f9bfb50cf298a857ab7d59.pdf

4. კახეთის რეგიონის ეთნიკურ უმცირესობათა პატარა ჯგუფების – ავარების, ქისტების, ოსების, უდებისა და რუსი მალაკნების – ქალთა საჭიროებები და პრობლემები

4.1. ავარი ქალები

საქართველოში ეთნიკური ავარები ყვარლის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში ცხოვრობენ: თივში, სარუსოში და ჩანთლისყურეში. თემი ქართულ საზოგადოებასთან კარგად არის ინტეგრირებული, ქალთა უმეტესობა კარგად ფლობს ქართულს, თუმცა, ამავდროულად, ავარები ინარჩუნებენ ეროვნულ იდენტობასა და კულტურულ თავისებურებებს. თემის ქალებმა შემდეგი პრობლემები გამოყვეს:

- ავარი ქალები თხოვდებიან ადრეულ ასაკში ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად, ყოველგვარი სამოქალაქო რეგისტრაციის გარეშე;
- ოჯახში ძალადობა ხშირია, თუმცა დამალული;
- ავარების კულტურული ღირებულებები, განსაკუთრებით კი ენა საფრთხის ქვეშ დგას, რამეთუ სკოლაში ენის სწავლების კურსები განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ორი წლის წინ შეწყდა.

მამაკაცთა პერიოდული თუ მუდმივი მიგრაციის გამო ავარი მოსახლეობის 60%-ს ქალები შეადგენენ. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, დახმარების მიმღებთა შორის არ არსებობს განსხვავება ეთნიკურ და გენდერულ ნიადაგზე. მაგალითად, თივში, ჩანთლისყურესა და სარუსოში, შესაბამისად, 5, 18 და 33 ოჯახი იღებს სოციალურ შემწეობას. სარუსოში ამდენი ბენეფიციარის არსებობა გამოწვეულია აქ ჩასახლებული ეკომიგრანტების (ძირითადად სვანეთიდან) მდგომარეობით. ეთნიკურ უმცირესობათა ქალები, ქართული ენის კარგად ცოდნის გამო, განსაკუთრებით აქტიურობენ სახელმწიფო და ადგილობრივი სოციალური დახმარებების მიღებაში.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი პრიორიტეტს ინფრასტრუქტურულ განვითარებას ანიჭებს. ადმინისტრაცია მუშაობს ოთხი ძირითადი მიმართულებით: წყლის მიწოდება ყველა სოფელს, გაზიფიკაცია, გარე განათების შეკეთება და მოვლა და გზების რეკონსტრუქცია

განათლება

განათლების სამინისტრომ ავარული ენის სწავლების დაფინანსება შეწყვიტა. სხვადასხვა ჩარევის მიუხედავად, თემს მიეცა რჩევა, რომ მასწავლებლების ხელფასები - 2,800 ლარი - თავად გადაეხადათ. ქალებმა აგრეთვე გამოთქვეს სურვილი, რომ რუსული ენის სწავლება მე-7 კლასზე ადრე დაიწყოს.

საბავშვო ბაღის შენობის უქონლობის გამო მოსახლეობას უწევს ბავშვების მეზობელ, უდიურ სოფელ ზინობიანში ტარება. ფინანსური მიზეზების გამო ავარი სკოლადამთავრებულები უმაღლეს განათლებას ვერ იღებენ.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

ქალებისთვის დიდი პრობლემაა უმუშევრობა. საჯარო სკოლა ოფიციალური დასაქმების ერთადერთი ადგილია.

მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულია. მხოლოდ იშვიათად აქვთ ქალებს საშუალება, სეზონურად იმუშაონ მეზობელ ფერმებში. ქალებმა წუხილი გამოთქვეს, რომ სოფლის მეურნეობაში მთელი დატვირთვა მათზე გადადის.

შემოსავლის მთავარ წყაროს დაღესტნიდან ნათესავების მიერ გადმორიცხული თანხები და ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ გაცემული პენსია და სოციალური დახმარება წარმოადგენს.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა
ავარებს აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო დახმარების ყველა პროგრამაზე და ისინი აქტიურად არიან ჩართულნი განცხადებების წარდგენის პროცესში. გარკვეული სოციალური დახმარების მიღებისას მთავარ პრობლემას ცალკე ოჯახად დარეგისტრირება წარმოადგენს, ვინაიდან ოჯახები ძირითადად გაფართოებული ტიპისაა, ხოლო ქორწინებას ჩვეულებითი ხასიათი აქვს. სოციალური შემწეობის მისაღებად განაცხადების წარდგენაში ქალები არიან აქტიურები.

ჯანდაცვა
ავარ ქალებს აქვთ ინფორმაცია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაზე, თუმცა ამ პროგრამის მიმართ ყველას სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს. ამის მთავარ მიზეზად სარგებლის მიღებისთვის ძლიერი ბიუროკრატიული ბარიერები სახელდება. უფასო სამედიცინო დახმარებისთვის საკმაოდ დიდი დროა საჭირო. მეორე მხრივ, ავარები თვლიან, რომ საავადმყოფოებს შორისაც არის სხვაობა: ისინი, ვინც იხდის ფულს, სამედიცინო მომსახურებას უფრო სწრაფად და ადვილად იღებენ, ვიდრე ისინი, ვინც საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობს.

საჭიროებები: უმაღლესი განათლება; ქორწინების სამოქალაქო წესით რეგისტრაციის წახალისება; სოციალურ სისტემაზე წვდომის გაუმჯობესება; სამუშაო ადგილები
პრიორიტეტები: ავარული და რუსული ენების სწავლება სკოლებში; საბავშვო ბაღები; ზოგადი განათლება მე-12 კლასამდე

4.2. ქისტი/ჩეჩენი ქალები

ჩეჩენი და ქისტი ქალები ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობის სოფლებში ცხოვრობენ. ქალები მოსახლეობის 65%-ს შეადგენენ.

ინფრასტრუქტურა
ინფრასტრუქტურა დაბალ დონეზეა განვითარებული, ყოველთვის ელექტროენერგიის უკმარისობაა. ამავდროულად ბევრი სოფელი, განსაკუთრებით კი ხეობის მაღალმთიან რაიონში, იზოლირებულია დანარჩენი სამყაროსგან გზებისა და საჯარო ტრანსპორტის არარსებობის გამო. ეს ყოველივე განსაზღვრავს ქალთა იზოლაციასა და მუდმივად სოფელში კონცენტრაციას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, ისევე, როგორც საჯარო ცხოვრებაში მათ ჩართულობაზე.

რეგიონში არსებული ჰიდროელექტროსადგურის მიუხედავად, ელექტროენერგია ხელმისაწვდომია დღეში მხოლოდ 3-4 საათის განმავლობაში. არ არის ბუნებრივი აირის მიწოდება, ხოლო სასმელი წყალი ხელმისაწვდომია მხოლოდ მთავარ მილებთან, გზების გასწვრივ. თუმცა წყლის ხარისხი არ არის მაღალი, განსაკუთრებით წვიმიან დღეებში, რადგან ის ირევა ჩამდინარე წყალთან. სოფელში არ არსებობს კანალიზაცია.

განათლება
ზოგადი განათლება 9 კლასამდე ხელმისაწვდომია სოფლებში ქორეთში, ხალაწანსა და საკობიანოში, ხოლო 12 კლასის განათლება სოფლებში დუისში, ჯოყოლოსა და ბირკიანში. ყველა სკოლაში სწავლა ქართულ ენაზეა. სხვა სოფლების ბავშვებს უხდებათ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების სკოლებში სიარული, რაც პრობლემური საკითხია, რამეთუ არ არსებობს სასკოლო ავტობუსების ხაზი სოფლებს შორის. ამის გამო ბევრი მშობელი თავს იკავებს ბავშვების სკოლაში გაშვებისგან. თუმცა ბავშვების უმეტესობა, მათ შორის გოგონები, ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. ქისტების უმეტესობა კარგად ფლობს ქართულს, თუმცა, როგორც ქალებმა აღნიშნეს, მშობლიური ენის დაკარგვა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

მოსახლეობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი საბავშვო ბაღების კვლავ გახსნაა, რომლებიც 2013 წელს გადასახადის გამო დაიკეტა. გაერომ ააშენა ორი პატარა ზომის საბავშვო ბაღი, ორი კი ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებით გაიხსნა. ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით კიდევ ოთხი საბავშვო ბაღის გახსნაა საჭირო. მნიშვნელოვანია აგრეთვე სადილი საბავშვო ბაღებში.

დასაქმება და შემოსავლის წყარო
სიღარიბის დონე აქ ძალიან მაღალია და შემო-

სავლის დიდი ნაწილი საკვებსა და კომუნალურ გადასახადებზე (ძირითადად ელექტრონერგიაზე) იხარჯება. რეგიონში არ არსებობს წარმოება ან დასაქმების რაიმე შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის, საჯარო სექტორისა და წვრილმანი ვაჭრობის გარდა. თემის წევრებს, ტრადიციულად მამაკაცებს, მოჰყავთ ლობიო, სიმინდი და ბოლო დროს ხორბალი. საქონლის შენახვა აქ შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს საძოვრები. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო მამაკაცები და ახალგაზრდა ბიჭები სამუშაოს საძებნელად მიდიან ჩეჩნეთში და რუსეთში და ტოვებენ საკუთარ ოჯახებს.

ქალებისთვის დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ საჯარო სექტორში - სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. ხელფასი, რომელიც საგრძნობლად დაბალია - 120-165 ლარი თვეში, არ იძლევა ბავშვებისთვის უმაღლესი განათლების მიცემის შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მიღება პანკისში შეუძლებელია და ძალიან ცოტა ახალგაზრდა იღებს სხვა ტიპის განათლებას ფინანსური შეზღუდვების გამო.

ცხრილი №4:
ჩეჩენი/ქისტი ქალების შემოსავლის ძირითადი წყაროები[32]

შემოსავლის ტიპი	პროცენტი
პენსია	80%
მასწავლებლის ხელფასი	5%
სხვა საჯარო სექტორი	3%
ვაჭრობა, მათ შორის ავტომანქანებით	10%
გადმორიცხვები უცხოეთიდან	2%

ჯანდაცვა
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების მთავარი ფუნქცია სხვადასხვა ინფექციურ დაავადებასთან ბრძოლაა. საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში 2011 წელს ახმეტაში ახალი 25 საწოლიანი საავადმყოფო გაიხსნა. ამასთან ერთად სოფელ დუისსა და ჯოყოლოში გადაუდებელი ამბულატორიები არსებობს. მართალია, ხეობის ქვემოთა სოფლები კარგად სარგებლობენ ამ დაწესებულებების მომსახურებით, მაგრამ ზემოთა სოფლები მოკლებულია სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას.

ჯანდაცვაზე წვდომა მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. მართალია, საყოველთაო დაზღვევა არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მომსახურების მისაღებად საჭიროა თანხის გადახდა. დიდი მოთხოვნაა აგრეთვე გინეკოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა
სოციალური პროგრამები მიზნად ისახავს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის იდენტიფიკაციას. ოჯახური ურთიერთობები ნათესაურ გაფართოებულ ოჯახის ტიპებზეა დაფუძნებული, სადაც ოჯახის მეთაური მამაკაცია. ქორწინებები ძირითადად 18-30 წლის ასაკში ხდება. ქართველებთან კარგი ურთიერთობების მიუხედავად, შერეული ქორწინებები იშვიათია. მოტაცების პრაქტიკამ საკმაოდ მოიკლო მას შემდეგ, რაც 5000 ლარიანი ჯარიმა დაწესდა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შემცირებულია ოჯახში ძალადობაც, რაც, მათი აზრით, ქალთა ცნობიერების ამაღლების ინტენსიური პროგრამების შედეგია.

კვლავ არსებობს ჩვეულებითი კანონები - ადათები, რომლებიც ტრადიციებს, ქცევის და სისხლის აღების ადგილობრივ წესებს ემყარება[33]. კონფლიქტის შემთხვევაში უხუცესთა საბჭო (შედგება მამაკაცებისგან) იღებს ყველა გადაწყვეტილებას, ხოლო ოფიციალური იურიდიული სისტემა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება. სოციალური დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები არ გამოიყენება, რადგან მათზე წვდომა პრობლემური და რთულია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ძალიან შეზღუდულია, ხოლო სოციალური დახმარებისთვის სახელმწიფოს ქულებით შეფასებითი მიდგომა სახლს, მიწას, საყოფაცხოვრებო ნივთებს, როგორიცაა, მაგალითად, მაცივარი და ტელევიზორი, განიხილავს როგორც ქონებას. ეს ართულებს დახმარების მიღებას. უფრო მეტიც, სახელმწიფო იყენებს კომლების შეფასების სისტემას, მაშინ, როცა იქ შეიძლება რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდეს.

32 ინფორმაცია ეფუძნება ორ წყაროს: მექა ხანგოშვილი, სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

33 წყარო: http://escholarship.org/uc/item/64d7v9hj#page-1 Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey; Shorena Kurtsikidze and Vakhtang Chikovani, University of California, Berkeley, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies Working Paper Series, 2002

ოფიციალური და ჩვეულებითი განქორწინების შემთხვევები ძალიან ცოტაა. ეს დიდწილად გამოწვეულია კულტურული თავისებურებით, რომ განქორწინების შემთხვევაში ბავშვები რჩებიან მამასთან და, შესაბამისად, ქალები ყველანაირად ცდილობენ, შეინარჩუნონ შვილები. ამ პრობლემის სამართლებრივი ფორმით მოგვარების მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული ამ დრომდე. ამ შემთხვევაში სასამართლომ ბავშვის მეურვეობის უფლება დედას მიანიჭა. მართალია, ქალებს ჩაუტარდათ მომზადება მათი უფლებების რეალიზაციისა და იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ეს ყველაფერი შორეულ შესაძლებლობად რჩება.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

ქისტი ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი კახეთის რეგიონის პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებში. ქისტები ჩართულნი არიან მხოლოდ ადგილობრივ დონეზე საკრებულოში სოფლებიდან. გამონაკლისს წარმოადგენს ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე ერთი მდივანი გამგეობაში, რომლებიც სწორედ ქისტების თემს წარმოადგენენ.

ქალთა კლუბების, რომლებსაც „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი“ ხელმძღვანელობს, და უხუცესთა საბჭოს (ქალების) გარდა, არ არსებობს ქალთა ორგანიზაციები. ისინი ცდილობენ ორივე საბჭოს დაახლოებას, რათა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება. ქალებს სურთ იყვნენ ჩართულები პროცესებში, რაც მათ საშუალებას მისცემდა, გადაწყვეტილებებზე მოეხდინათ გავლენა.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა რეგიონში განახორციელეს რამდენიმე პროექტი, რომელთა სამიზნე ჯგუფს როგორც ქალები, ისე მამაკაცები წარმოადგენდნენ, თუმცა მათი მდგრადობა უზრუნველყოფილი არ არის. ქალებს ურჩევნიათ ჰქონდეთ თუნდაც დაბალი, მაგრამ რეგულარული ხელფასი. მართალია, გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმირებულობა მაღალია, მაგრამ მის ინსტიტუციურ ფორმებზე, როგორებიცაა გენდერული თანასწორობის საბჭო, ეროვნული სამოქმედო გეგმა და სხვა სტრატეგიები, ინფორმაციის ნაკლებობაა.

საჭიროებები: სოციალურ სისტემაზე წვდომის გაუმჯობესება; ქორწინების სამოქალაქო წესით რეგისტრაცია; სამუშაო ადგილები

პრიორიტეტები: განათლება - ჩეჩნური და რუსული ენების სწავლება სკოლებში; საბავშვო ბაღები; ზოგადი განათლება მე-12 კლასამდე; საჯარო ტრანსპორტი; წყლის სტაბილური მიწოდება

4.3. ოსი ქალები

ოსები კახეთის მხარეში ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ცხოვრობენ. მათი კონცენტრაციის ყველაზე დიდი ადგილი ლაგოდეხის რაიონის სოფელი არეშფერანია. კახეთის სხვა მცირე ერების მსგავსად, ოსებიც ქართველ საზოგადოებასთან საკმაოდ კარგად ინტეგრირებულნი არიან. საუბრობენ ორ ენაზე - ქართულსა და ოსურზე. თემის 55%-ს ქალები წარმოადგენენ. ოსი ქალებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა დგას.

ინფრასტრუქტურა

სოფლის გზების შესაკეთებელი სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს. გარე განათება სრულად არ მუშაობს და ტრანსპორტირების საშუალებებიც საკმაოდ შეზღუდულია. დღეში მხოლოდ ერთი სამარშუტო ტაქსი დადის თბილისის და რუსთავის მიმართულებით.

განათლება

განათლების მიღება შესაძლებელია მე-12 კლასამდე ქართულ ენაზე. სკოლის მოსწავლე გოგონების უმეტესობა ამთავრებს სკოლას. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერის ოთახით და ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია ყველასთვის. სკოლის დირექტორის შრომის შედეგად სკოლაში მუშაობს ავტობუსი, რომელიც ტრანსპორტირებას უწევს მოსწავლეებს. მოსახლეობა ითხოვს ოსური ენის სწავლების აღდგენას სასწავლო პროგრამაში, თუმცა უშედეგოდ. ოსური თემი განიცდის ასიმილაციას. ორი წლის წინ განათლების სამინისტრომ შეწყვიტა ოსური ენის სწავლების დაფინანსება იმის გამო, რომ ენა არ არის სტანდარტიზებული, თუმცა მანამდე მისი სწავლება არ იკრძალებოდა.

საგარეო გრანტების დახმარებით სკოლაში ოსურ ენას ასწავლიდნენ ერთი სემესტრის განმავლობაში, თუმცა 2013 წლის სექტემბრიდან ის კვლავ

ამოღებული იქნა სასწავლო პროგრამიდან. ავარული თემის მსგავსად, აქაც ითხოვენ რუსული ენის სწავლების შემოღებას ადრეული ასაკიდან. ახალგაზრდა ქალები იმედგაცრუებულები არიან, ვინაიდან მათთვის პროფესიული და საგანმანათლებლო განვითარების გზა არ ჩანს. მართალია, სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროა კიდევ ერთი საბავშვო ბაღის აშენება.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

ქალები ძირითადად საგანმანათლებლო და სოფლის მეურნეობის სფეროში არიან დასაქმებულნი. შესაბამისი კვალიფიკაციის მიუხედავად, ქალები სკეპტიკურად უყურებენ ლაგოდეხის გამგეობაში დასაქმებას. ადგილობრივებმა გამორიცხეს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმეტესობამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ექნებოდათ საშუალება, წასულიყვნენ ჩრდილოეთ ოსეთში სამუშაოდ და ასე დახმარებოდნენ ოჯახებს. სოფელში აგრეთვე ასახლებენ ეკომიგრანტებს აჭარიდან. რუსეთის ფედერაციაში ემიგრირებულების ნათესავები უკმაყოფილოები არიან იმ ფაქტით, რომ მათ მოუწიათ მიტოვებული სახლების საბაზრო ფასზე ნაკლებად მთავრობისთვის მიყიდვა. ამასთან ერთად, აჭარელ ეკომიგრანტებს დაურიგეს მცირე სამეურნეო მიწები, რაც ოსების შემთხვევაში არ მოხდა. ეს ყოველივე ორივე ჯგუფში დაძაბულობას იწვევს.

ჯანდაცვა

სოფელში არ არსებობს ამბულატორია და ადგილობრივ მაცხოვრებლებს სამედიცინო მომსახურების მისაღებად მეზობელ სოფლებში წასვლა უწევთ. არ არის არც აფთიაქი.

ქალთა მონაწილეობა საჯარო ცხოვრებაში

მიუხედავად იმისა, რომ ოსი ქალები საკმაოდ აქტიურები არიან, მათ არ გააჩნიათ არანაირი ოფიციალური საშუალება თემის მობილიზაციისთვის. არ არსებობს აქტივობების ცენტრი, რომელიც პრობლემისადმი მათ საერთო მიდგომას უზრუნველყოფდა. ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეას სკეპტიკურად უყურებენ ფინანსური რესურსების ნაკლებობისა და დაფინანსების სიმცირის გამო. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ოჯახში ძალადობა დასახელდა. თუმცა ეს კვლავ რჩება საზოგადოებისგან დამალული. არ ყოფილა ოჯახში ძალადობის შემთხვევის სასამრთლოს გზით მოგვარების მცდელობაც.

საჭიროებები: გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურება; მიწაზე უკეთესი წვდომა; ეკომიგრანტების ჩასახლების უფრო გარკვეული პოლიტიკა

პრიორიტეტები: განათლება ოსურ ენაზე; რუსული ენა; ზრდასრულთა განათლება

4.4. უდი ქალები

უდების ეთნიკური ჯგუფი ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში ცხოვრობს. ისინი საქართველოში მცხოვრებ ერთ-ერთ ყველაზე მცირე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელსაც ასიმილაციის საფრთხე ემუქრება. უდები ზინობიანის მოსახლეობის 70%-ს შეადგენენ, ხოლო მათი 55 % ქალია. სოფელში არის შერეული ოჯახებიც. სკოლის შენობაში განთავსებულია პატარა მუზეუმი, რომელიც ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და USAID-ის მხარდაჭერით შეიქმნა. აქ დაცულია საქართველოში უდი მოსახლეობის ისტორიული ნივთები. გარდა ამისა, ადგილობრივები ზინობიანში საჯარო სკოლის ეზოში ყოველწლიურად ღონისძიებებს და გამოფენა-გაყიდვებს აწყობენ. უდების კულტურის გაცნობის მიზნით ამ აქტივობებს სხვა სოფლის მკვიდრებიც ესწრებიან.

ინფრასტრუქტურა

კახეთის სხვა სოფლებთან შედარებით ზინობიანში ინფრასტრუქტურა უფრო განვითარებულია. სოფლის დახმარების ყოველწლიური პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა გაარემონტა საზოგადოებრივი ცენტრი. თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, აღნიშნული შენობის მხოლოდ სახურავი იქნა შეკეთებული. სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები არ განიხილება არც საჭიროებად და არც პრიორიტეტად.

განათლება

სოფელ ზინობიანის საჯარო სკოლაში სწავლა შესაძლებელია მხოლოდ მე-9 კლასამდე. სკოლის დამთავრების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე აგრძელებს სწავლას საშუალო დონეზე მოტივაციის უქონლობის გამო, რაც გრძელი მანძილითა და შეზღუდული ფინანსური რესურსებით არის განპირობებული. შესაბამისად, ახალგაზრდა გოგონები რჩებიან სახლში, სანამ გათხოვდებიან. თემის უმთავრესი პრობლემა იდენტობის შენარჩუნებაა. უდიურ ენაზე საუბრობენ მხოლოდ ხანდაზმულები და ამ ენის სკოლაში სწავლება აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის ერთ-ერთი მთავრი მოთხოვნაა. მართალია, ყველას

აქვს ინფორმაცია მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ, მაგრამ ყოველდღიურ საუბარში არავინ იყენებს უდიურ ენას, ხოლო ახალგაზრდები ვერ სწავლობენ მას, ვინაიდან ენის კურსებზე დასწრება ნებაყოფლობითია, სასკოლო საათების შემდეგ. როგორც ავარებისა და ოსების შემთხვევაში, აქაც ენის სწავლების დაფინანსება განათლების სამინისტრომ შეწყვიტა. უცხოური ენებიდან სკოლაში ისწავლება ინგლისური და რუსული ენები. სკოლაში არის კომპიუტერული ოთახი, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სკოლის საათებში და ადგილობრივებს არ აქვთ მასზე წვდომა.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

სკოლის გარდა, ერთადერთი სფერო, სადაც ქალები დასაქმებულნი არიან, სოფლის მეურნეობაა. ოჯახის შემოსავლის დიდ წყაროს სწორედ ეს წარმოადგენს. არის აგრეთვე სეზონური სამსახურებიც, თუმცა მათ მისაღებად აუცილებელია ნაცნობების წრის ყოლა. დაფინანსების სირთულის გამო ქალთა საინიციატივო ჯგუფის დაარსების იდეას სკეპტიკურად უყურებენ.

ჯანდაცვა

სოფელში არ არის ამბულატორია. პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოსახლეობას უწევს მეზობელ სოფელ გავაზში წასვლა, რომელიც ზინობიანიდან 7 კმ-ის დაშორებითაა, რაც, თავის მხრივ, პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტის უქონლობის შემთხვევაში. მართალია, მათ აქვთ ინფორმაცია საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, მაგრამ ამ პროგრამაში რეგისტრირებისგან თავს იკავებენ. ვინაიდან სოფელში არ არის ოჯახის ექიმი, საყოველთაო დაზღვევის პროგრამის გამოყენება რთულია.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა

ენის ბარიერის არარსებობის გამო სოციალურ მომსახურებები ხელმისაწვდომია, თუმცა სოფელში არსებობს ამ საკითხისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და ამ დრომდე არც განაცხადები წარუდგენიათ.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

უდი ქალები მონაწილეობენ თემის შიგნით ორგანიზებულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებში. ისინი აწყობენ სხვადასხვა აქტივობებს, თუმცა მათ არ აქვთ ინსტიტუციური ფორმა.

საჭიროებები: უკეთესი პერსპექტივები ახალგაზრდა ქალებისთვის (სამუშაო ადგილები, სოფლის მეურნეობა); სამედიცინო მომსახურება - ამბულატორია; უკეთესი წვდომა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე

პრიორიტეტები: განათლება - უდიური ენა; რუსული ენა; ზოგადი განათლება მე-12 კლასამდე, პროფესიული განათლება

4.5. რუსი მალაკანი ქალები

რუსი მალაკნების დასახლება ჩამოყალიბდა დღევანდელ სოფელ ილიაწმინდაში 150 წლის წინ მაშინდელი სახელით „ახალი ალექსანდროვკა“ (მეფე ალექსანდრეს საპატივსაცემოდ). მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდის დროს, ეს სახელი „ულიანოვკათი“ შეიცვალა. მალაკნები მიეკუთვნებიან რუსული „სულიერი ქრისტიანების“ სექტას და რიტუალებში კონფლიქტში მოდიოდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. ისინი გადასახლებულ იქნენ კავკასიაში და დღეს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ცხოვრობენ, მთავარი წინამძღვრით აზერბაიჯანში. მალაკნები კოლექტიური სათემო ცხოვრებით ცხოვრობენ და მონაწილეობენ კოლექტიურ სასულიერო ცხოვრებასა და ეკონომიკაში. სოფელში სხვა ეთნიკური ჯგუფებიც სახლობენ: ქრისტიანი ქართველები, სომხები და აჭარელი ეკომიგრანტები. ილიაწმინდის მალაკანი მოსახლეობის უმეტესობას (75%) 50-70 წლის ჯგუფის ქალები შეადგენენ. ახალგაზრდები ძირითადად რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად, ხოლო აქ დარჩენილთაგან უმეტესობა ადგილობრივ ქართველებთან არიან დაქორწინებულნი. მოსახლეობის ყველაზე დიდი წუხილია მათი იდენტობის შენარჩუნება და პატივისცემაა. მათ ეშინიათ, რომ დასრულდება „საქართველოს მალაკნების 150 წლიანი თანაცხოვრების და რეგიონის განვითარების ისტორია“. 1989 წელს ილიაწმინდაში გაიხსნა მალაკნების მუზეუმი, რომელზეც ზრუნავდა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები, თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ მუზეუმმა შეწყვიტა ფუნქციონირება და ექსპონატები დაიკარგა. მუზეუმში წარმოდგენილი იყო მალაკნების ცხოვრების წესი და ისტორია. ქალებს სურთ შენობის განახლება და მისი ფუნქციონირების აღდგენა. ამასთან ერთად, მათი სურვილია, რომ მუზეუმს, მალაკნების ისტორიულ სასაფლაოსთან ერთად, მიენიჭოს ძეგლის სტატუსი (როგორც ეს დუხობორებს აქვთ). მალაკანმა ქალებმა გამოთქვეს წუხილი, რომ სოფლის სხვა მცხოვრებლები სასაფლაოებს იყენებენ საქონლის საძოვრად. მარ-

თალია, ტერიტორია შემოღობილია, მაგრამ მას ადგილობრივები რეგულარულად აღებენ. ადგილობრივი მთავრობისადმი უამრავი თხოვნის მიუხედავად, პრობლემა ვერ მოგვარდა. ამასთან ერთად, გადაუჭრელია სოფლის წინანდელი სახელის აღდგენის საკითხი.

ინფრასტრუქტურა
მალაკანი ქალები ადგილობრივი მთავრობის მუშაობასთან დაკავშირებით პროტესტს არ გამოთქვამენ, კმაყოფილები არიან ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდებითაც. პრობლემად რჩება გაზიფიკაცია და სახლში წყლის მიწოდება. სოფელში არის წყლის რამდენიმე ონკანი და მოხუც ქალებს უწევთ წყლის ზიდვა. სოფლიდან ტრანსპორტირება პრობლემას არ წარმოადგენს.

განათლება
1990-იან წლებში რუსული სკოლები დაიხურა და მას შემდეგ ილიაწმინდაში მხოლოდ ერთი ქართულენოვანი სკოლა ფუნქციონირებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსული ენა სასწავლო პროგრამაშიც კი არ შედიოდა, თუმცა ახლა ისწავლება კვირაში ერთი საათი. ამჟამად მალაკნების თემიდან სკოლაში არავინ მუშაობს.

დასაქმება და შემოსავლის წყარო
მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, პენსიები და უცხოეთიდან ნათესავების დახმარებები. მიწის საკუთრება აქ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს. მაშინ, როცა მიწის გადანაწილება მიმდინარეობდა, რუსული ეთნიკურობა არ იყო სახარბიელო. შესაბამისად, მალაკნებმა ვერ მიიღეს იმავე რაოდენობის მიწები, რაც დღემდე რჩება პრობლემად. სახლის გარშემო არსებულ მიწებზე ვენახები აქვთ გაშენებული და ეს მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

ჯანდაცვა
მოხუცი მალაკნები კმაყოფილნი არიან სოფელში არსებული სამედიცინო ამბულატორიით, ისევე, როგორც იქ მომუშავე ოჯახის ექიმით, რომელიც კარგად ლაპარაკობს რუსულად და ყურადღებიანი ადამიანია. მათ არ უწევთ მომსახურების თანხის გადახდა საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სოფელში არის აგრეთვე რამდენიმე აფთიაქი.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა
მალაკნები პენსიის გარდა არ იყენებენ სოციალური დახმარების პროგრამებს, ვინაიდან თემი საკუთარ თავს უზრუნველყოფს.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში
ყველა ასაკის მალაკანი ქალები აქტიურად არიან ჩართულნი სათემო ცხოვრებაში და ეხმარებიან კიდეც ერთმანეთს. მათი ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში არ არის ეფექტიანი, ვინაიდან პრობლემები, რომლებიც თემს აწუხებს - ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე - კვლავ რჩება პრობლემებად. თუ იქნება შესაძლებლობა, რომ გადაჭრან მათთვის აქტუალური საკითხები, ისინი ჩაერთვებოდნენ და მობილიზებას გაუკეთებდნენ მთელ თემს.

საჭიროებები: სოფლის მეურნეობა - არასამართლიანად გადანაწილებული მიწების პრობლემის გადაწყვეტა; წყლის მიწოდება სახლებში
პრიორიტეტები: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება: სოფლის არქიტექტურის ღია მუზეუმი; მუზეუმის უგულებელყოფა; ისტორიული სასაფლაოს პატივისცემა; სოფლისთვის თავდაპირველი სახელის დაბრუნება; განათლება - რუსული ენის გაძლიერებული სწავლება

4.6. აზერბაიჯანელი ქალები

კახეთის მხარეში დასახლებული აზერბაიჯანელები ყველაზე დიდი თემია ქვემო ქართლის რეგიონის შემდეგ. აზერბაიჯანელები სამ ძირითად ჩასახლებაში ცხოვრობენ: 1) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში, 2) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში და 3) ლაგოდეხის რაიონის სოფლებში კაბალში, უზუნთალაში, განჯალასა და ყარაჯალაში. ამ უკანასკნელში მთელი მუნიციპალიტეტის 25% ცხოვრობს, ხოლო მის 5%-ს ეთნიკური ოსები შეადგენენ[34]. არის აგრეთვე სოფლები, რომლებიც რუსებითა და პოლონელებით არის დასახლებული, თუმცა მათი რაოდენობა ნელ-ნელა იკლებს. ლაგოდეხის საკრებულოს 23 წევრიდან ოთხი ქალია. ქალები დასაქმებულნი არიან გამგეობაში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არ არიან არჩეულნი საკრებულოში.

34 წყარო: საქსტატი, 2002 წლის აღწერა

ინფრასტრუქტურა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში სასმელი წყალი დიდ პრობლემად რჩება. მართალია, მუნიციპალიტეტმა ამოიყვანა რამდენიმე ჭა, მაგრამ მოსახლეობას მაინც უწევს დიდი მანძილის გავლა წყლის სახლში მისატანად. ამ პრობლემის ძირითადი მსხვერპლნი ქალები არიან, რადგან წყლის სახლში მიტანა მათი მოვალეობაა. ყარაჯალა აქტიურად არის ჩართული სოფლის ინფრასტრუქტურული განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც შეკეთდა გარე განათება, აშენდა ფეხბურთის სტადიონი და გაიჭრა რამდენიმე ჭა სასმელი წყლის მისაღებად.

გაზიფიკაცია სოფლის კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ბუნებრივი აირი მოყვანილია სოფლამდე, თუმცა მისი დისტრიბუცია ჯერ არ მომხდარა. აგრეთვე შესაკეთებელია ყარაჯალის შიგნით არსებული გზები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული მოსახლეობა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ვერც ერთ პროექტს ვერ იხსენებს. უფრო მეტიც, მათ არც კი აქვთ ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ. თუმცა აქ ინფორმაციული ვაკუუმი თავად მოსახლეობის დაბალი ინტერესითაა განპირობებული, ისინი ძირითადად აზერბაიჯანულ და თურქულ ტელევიზიას უყურებენ.

განათლება

განათლების მხრივ ყველა დასახლებაში თითქმის იდენტური პრობლემებია, თუმცა რამდენიმე განსხვავება შეიძლება გამოიყოს. გენდერული საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი განათლებასთან, ადრეულ ქორწინებასა და ჩართულობასთან მიმართებაშია. აუცილებელია აგრეთვე კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციული მაჰმადიანური მიდგომების გათვალისწინებაც.

გოგონები სკოლაში მხოლოდ 9 კლასის ჩათვლით დადიან. მართალია, სკოლაში სწავლის დაწყებისას მოსწავლე გოგონების რაოდენობა სჭარბობს ბიჭებისას, დამამთავრებელ დონეზე რამდენიმე გოგონაღა რჩება. „გოგონების მხოლოდ 10%-20% გადის საშუალო განათლების კურსს“, - აღნიშნა ეთნიკურად ქართველმა მასწავლებელმა. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახი, რომელიც ვერ ხედავს უფრო მაღალი დონის განათლების გამოყენების პერსპექტივას: „ყველა შემთხვევაში მაინც მეურნეობაში მუშაობა მოუწევთ და რა აზრი აქვს.“

მართალია, წნორში არის პროფესიული გადამზადების კოლეჯი, მაგრამ მათი სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმე წავიდა იქ სასწავლად. ადრეული ქორწინებები კვლავ გავრცელებული პრაქტიკაა აზერბაიჯანულ თემში, მათი ჩვეულებების შესაბამისად. ეს ქორწინებები ეფუძნება ადათ-წესებს, რომლებსაც ქალთა უმრავლესობა სცემს პატივს.

ზოგადი განათლების მიღების შემდეგ (ჩვეულებრივ, სწავლების ენა აზერბაიჯანულია) ახალგაზრდა გოგონები ძირითადად მშობლებს (დედებს) ეხმარებიან სოფლის მეურნეობაში, სანამ გათხოვდებიან.

თუმცა ბოლო წლების განმავლობაში სოფელი ყარაჯალიდან რამდენიმე გოგონა ჩაირიცხა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ოჯახებისა და ადგილობრივი მასწავლებლების სიამაყეს წარმოადგენენ. აზერბაიჯანელების მიერ უნივერსიტეტებში სასწავლად წარდგენილი განცხადებების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც უმთავრესად გამოწვეულია ამ ჯგუფისთვის „1+4“ პროგრამის ამოქმედებით[35]. ეს სტუდენტები არიან არა მხოლოდ ქვემო ქართლიდან, არამედ ყარაჯალის სკოლიდანაც. სწავლების ენა ამ სკოლაში რამდენიმე წლის წინ შეიცვალა აზერბაიჯანულიდან ქართულზე. მართალია, მშობლები აცნობიერებენ ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობას, მაგრამ მათ მოსთხოვეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლებში აზერბაიჯანული ენის სწავლების კვლავ შემოღება (სულ ცოტა რამდენიმე საათი კვირაში), თუმცა ამ ხნის განმავლობაში არანაირი წინსვლა არ ჩანს.

ფინანსური სიდუხჭირე სწავლის გაგრძელების ერთერთი მთავარი წინაღობაა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ ზოგიერთ ბავშვს არა აქვს დაბადების რეგისტრაციის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, რომელთა გარეშე ბავშვები ვერ ჩაირიცხებიან საჯარო სკოლაში.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

ეკონომიკური აქტივობის მთავარი სფერო სოფლის მეურნეობაა, რაშიც იგულისხმება მიწის დამუშავება, ვენახების გაშენება და მეცხოველეობა. სოფლის

35 Shalva Tabatadze; Natia Gorgadze; “Evaluation of the effectiveness of the quota system in Georgia”, Tbilisi, 2013

მეურნეობის პარალელურად შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა წვრილმანი ვაჭრობაც. ქალები ორივე სფეროში წამყვან ძალას წარმოადგენენ. ვაჭრობის სფეროში ორი მიმართულებით მუშაობენ: ადგილობრივი (თელავი, თბილისი, ლილო) და საერთაშორისო (თურქეთი, აზერბაიჯანი) დონეებზე. პირველს ძირითადად ქალები განაგებენ, ხოლო მეორეს - მამაკაცები.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა

მართალია, ეს სოფლები ეკონომიკურად უფრო განვითარებულია (არის რესტორნები, ბანკები, აფთიაქები, სასტუმროები), მაგრამ ოჯახები მაინც შეჭირვებულ პირობებში ცხოვრობენ. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, ეს ოჯახები სახელმწიფოსგან დახმარებას არ ღებულობენ. მათ არ აქვთ ინფორმაცია სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამაზე, მაგალითად, შემწეობაზე ახალშობილთათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ან მარტოხელა დედებისთვის. უფრო მეტიც, მათ არ იციან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამის შესახებ. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ეთნიკურმა ქართველებმა აღნიშნეს, რომ აზერბაიჯანელები (ძირითადად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებნი) კარგავენ ძალიან ბევრ შეღავათს მხოლოდ და მხოლოდ ენის უცოდინრობის გამო. მოსახლეობა, რომელიც ვერ დაეყრდნობა სეზონურ სამსახურს და სოფლის მეურნეობიდან შემოსავლებს (რაც ამინდზეა დამოკიდებული), სიღარიბის ზღვარზე იმყოფება[36]. ამის გამო ადგილობრივმა თვითმმართველობამ საკუთარი ბიუჯეტიდან თანხა გამოყო სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მაგალითად: ოთხ ან მეტ შვილიანი ოჯახებისთვის, ვეტერანებისთვის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში დაღუპულების და დაშავებულების ოჯახებისთვის, მარტოხელა დედებისთვის. ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიებით და გაზეთებით მიეწოდება. რაც შეეხება პროგრამებზე განაცხადების შეტანას, გამგეობის ადმინისტრაციამ გამორიცხა ყოველგვარი დისკრიმინაცია ეთნიკურ ნიადაგზე. ქალები განსაკურებით აქტიურობენ სოციალური დახმარების მისაღებად განაცხადების შეტანაში. თელავის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 2,000 ოჯახი იღებს სოციალურ შემწეობას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნისთვის და 38 მარტოხელა დედა შესაბამის დახმარებას. მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს აქვს სპეციალურად შემუშავებული სამედიცინო დახმარების პროგრამები.

სოციალური სამსახურის წარმომადგენელს ჰქონდა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ. ის ჩართულიც იყო საბჭოს აქტივობებში, თუმცა შედეგად ადგილობრივ დონეზე არაფერი გაკეთებულა.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

რესპონდენტების თქმით, ოჯახში ძალადობა (ფიზიკური თუ ეკონომიკური) თემის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა. ფოკუს ჯგუფში მამაკაცების მონაწილეობის გამო რთული გახდა უფრო ნათელი სურათის წარმოჩენა. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მამაკაცების თქმით, ოჯახური ურთიერთობები ძირითადად ჰარმონიულია და თუ რაიმე დაძაბულობა ხდება, ის ოჯახში უნდა დარჩეს. ამ მამაკაცების აზრით, ყველა ოჯახში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპი და მთელი ოჯახის ბიუჯეტის განკარგვა ქალსა და მამაკაცს შორის შეთანხმებულად ხდება (არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ არის შემომტანი). ქალებმა კი აღიარეს, რომ ოჯახში ძალადობა კვლავ არსებობს, თუმცა ურჩევნიათ, ეს დამალული იყოს. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქალებს მიუმართავთ სოფლის უხუცესთა საბჭოსთვის (ან დამუქრებიან მაინც მამაკაცს, რომ ასე გააკეთებდნენ). მართალია, ამ ინსტიტუტს არ გააჩნია რაიმე ტიპის ლეგალური ფორმა, მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში მან წარმატებას მიაღწია პრობლემის მოგვარებაში. ქორწინებებს აქ ოფიციალურად არ არეგისტრირებენ და, შესაბამისად, არც განქორწინების შემთხვევაა დაფიქსირებული. თემში არ მოქმედებს საზოგადოებრივი ცენტრი ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.

მუნიციპალიტეტებში არ არის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი ან სარეაბილიტაციო ცენტრი, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში მოქმედებს უფასო იურიდიული კონსულტაციის ბიურო.

რაც შეეხება ეკონომიკურ ძალადობას, შემო-

36 წყარო: http://nala.ge/uploads/telavi.pdf National Association of Local Administration of Georgia

სავლის მომტან საქმიანობაში ქალების ჩართვა ოჯახის მიერ კონტროლდება - ქალებს არ აქვთ მომსახურების სფეროში დასაქმების უფლება (მაგალითად, სასტუმროსა და რესტორანში). მაღაზიის შემთხვევაში ეს უფრო მარტივი საკითხია. გამონაკლისს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გზებზე გაყიდვა.

პოლიტიკური ჩართულობის მხრივ ენის ბარიერი აზერბაიჯანული მოსახლეობისთვის დიდი პრობლემაა. ქართული ენის არ ცოდნა ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უშლის ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში. ბოლო ორმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გადაწყვეტილებას ძირითადად საკუთარი კლანური სიმპათიების მიხედვით აკეთებს და არა იდეოლოგიური ღირებულებების შესაბამისად. ქალები, მართალია, ინდივიდუალურად აძლევენ ხმას, მაგრამ ძირითადად კოლექტიური მიდგომის გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. საუბნო საარჩევნო კომისიები ბევრჯერ იქნა გადამზადებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

საჭიროებები: ადრეული ქორწინებების პრევენცია; ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაწყვეტა და მისი გასაჯაროება; აზერბაიჯანულ ენაზე გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება; მე-9 კლასს ზევით განათლებაზე წვდომა

პრიორიტეტები: ყარაჯალის სკოლაში აზერბაიჯანული ენის სწავლება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: ბუნებრივი აირისადა წყლის მიწოდება

5. სომეხი და რუსი დუხობორი ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები სამცხე–ჯავახეთის რეგიონში

5.1. სომეხი ქალები

უმცირესობის ქალებს არ აქვთ ქართული ენის ადეკვატური ცოდნა, განსაკუთრებით კი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. ორივეგან არსებობს ენის სახლები, რომლებიც სამი თვის განმავლობაში უფასოდ ასწავლიან ქართულ ენას. ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს მოთხოვნის მიუხედავად, მათ ვერ მოახერხეს უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მოწოდება.

უმცირესობის ქალთა მობილიზაციის დაბალი დონე რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არსებობს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაცია. ქალები მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ადგილობრივ ორგანიზაციაში, თუმცა მათი გავლენა და მათ ხელთ არსებული ბერკეტები არის მინიმალური, განსაკურებით უმცირესობებით მასიურად ჩასახლებულ მუნიციპალიტეტებში (ახალქალაქი და ნინოწმინდა). გენდერული საკითხები არ არის გათვალისწინებული რეგიონული განვითარების სტრატეგიასა და ოფიციალურ პრიორიტეტებში. ამ პრობლემას გვერდს უვლის ახლად მიღებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაც 2013-2017 წლებისთვის. მართალია, მის შემუშავებაში დიდი როლი შეიტანა ქალბატონმა მარინა გაჩეჩილაძემ (რწმუნებულის ოფისის წარმომადგენელი) და სამუშაო ჯგუფების ქალმა ხელმძღვანელებმა, მაგრამ მაინც არ მოხერხდა გენდერული საკითხების წარმატებული ლობირება.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა ურბანულ ცენტრებში მოწესრიგდა - ქალები კმაყოფილნი იყვნენ გაზმომარაგების საკითხის მოგვარებით. თუმცა სოფლებში სასმელი წყლის და გაზის პრობლემა კვლავ დგას. ამასთან, შეშა და ნახშირიც ძვირია. ურბანულ დასახლებებს გარეთ არ არსებობს საკანალიზაციო სისტემები. მართალია, ახალქალაქისკენ მიმავალი მთავარი გზა შეკეთდა, მაგრამ სხვა დასახლებებში მიმოსვლა გართულებულია გზების ცუდი მდგომარეობის გამო.

განათლება

სკოლამდელ განათლებაზე წვდომა შეზღუდულია[37]. რეგიონში სულ 34 ბაგა-ბაღია, ძირითადად ურბანულ ცენტრებში. სოფლებში საერთოდ არ არის საბავშვო ბაღები. თუმცა არსებული შენობების მდგომარეობა ძალზე მძიმეა, რადგან მათი დაფინანსება ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც ვერ სწვდება რეკონსტრუქციის ხარჯებს.

ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მოსახლეობას განათლების მიღება საკუთარ ენაზე შეუძლია. ამ მუნიციპალიტეტებში სკოლების უმეტესობაში სწავლა სომხურ ენაზეა. მიუხედავად ამისა, ფოკუს ჯგუფის შეხვედრების დროს შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

- ქართულიდან თარგმნილი სასკოლო წიგნები ძალიან დაბალი დონის არის. მთარგმნელებს კონსულტაციები არ გაუვლიათ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან;
- სომხურ სკოლებს არ აქვთ საკმარისი წიგნები სომხურ ენებზე. ორი ქვეყნის განათლების სამინისტროების შეთანხმების მიუხედავად, სკოლები არ იღებენ სახელმძღვანელოებს[38].

„1+4“ პროგრამის შემოღების შემდეგ გაიზარდა ქართულ უნივერსიტეტებში სომეხი ახალგაზრდების (როგორც გოგონების, ისე ბიჭების) მიერ შეტანილი განცხადებების რაოდენობა. მასწავლებლებთან

37 წყარო: http://static.mrdi.gov.ge/52f9bfb50cf298a857ab7d59.pdf p.9

38 Giorgi Lomsadze, Georgia: Ethnic Minorities Confront Education Hurdles, March 18, 2011, http://www.eurasianet.org/node/63106

საკონსულტაციო შეხვედრების და ფოკუს ჯგუფების ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლადამთავრებულთათვის პრიორიტეტული ქართულ უნივერსიტეტებში მოხვედრაა და, თუ ვერ მოხვდებიან, მხოლოდ შემდეგ მიდიან სომხურ უნივერსიტეტებში.

ზრდასრულთა განათლება - როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური - არ არის ხელმისაწვდომი არც ურბანულ ცენტრებში და არც სოფლად.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში დასაქმება უმცირესობის ქალთა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ქალები ძირითადად საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბანკებსა და ჯანდაცვის სფეროში მუშაობენ. თვითდასაქმებული პატარა მომსახურების ბიზნესების გარდა, ქალთა ეკონომიკური აქტივობა არ ფიქსირდება. ამ მხრივ მთავარი პრობლემა სამუშაო ადგილების არარსებობა და ქალთა დაბალი კვალიფიკაციაა. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის ქალები, აქტიურად იყენებს ახალციხის პროფესიული განვითარების კოლეჯს, რომელიც ზრდასრულებს 16 სხვადასხვა კურსს სთავაზობს. მოპოვებული სტატისტიკის მიხედვით სასწავლებელში რეგისტრირებულთა უმეტესობას სწორედ ქალები წარმოადგენენ - ამ სემესტრის 404 სტუდენტიდან 249 ქალია. რაც შეეხება უმცირესობების ჩართულობას, როგორც გამოვლინდა, კოლეჯში ძირითადად ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სწავლობს (სადაც ეროვნული უმცირესობები ნაკლებადაა წარმოდგენილი). შეხვედრის დროს აგრეთვე ახსენეს, რომ სომეხი ქალები დასაქმების მხრივ უკეთეს სიტუაციაში არიან, ვიდრე ქართველები, ვინაიდან ისინი აგრძელებენ მათთვის დამახასიათებელ ტრადიციულ საქმიანობას: მცირე ვაჭრობას, თმის სტილისტობას, სწრაფი კვების ობიექტებზე მუშაობას. ეკონომიკურად ქალები დამოკიდებულნი არიან ქმრებზე, რომლებიც ხშირად მიდიან სამსახურებრივ მიგრაციაში და უგზავნიან ფულს ოჯახის წევრებს.

ჯანდაცვა

ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე უკეთესი წვდომაა ახალქალაქში, თუმცა სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება მხოლოდ ახალციხეშია ხელმისაწვდომი. ქალების მთავარი უკმაყოფილება ამ მხრივ დროის ფაქტორთან არის დაკავშირებული. მათ ხშირად უწევთ ორი ან მეტი დღე ლოდინი მომსახურების მისაღებად, რაც დამატებით ხარჯებს საჭიროებს. სოფლად მცხოვრები, განსაკუთრებით კი ნინოწმინდაში მცხოვრები ქალებისთვის სიტუაცია უფრო რთულია, რადგან არ არსებობს სამედიცინო მომსახურების ცენტრი და ადგილობრივი ექიმები მხოლოდ რჩევებით შემოიფარგლებიან[39].

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა

სოციალურ საკითხებს ძირითადად მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური და ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო კურირებენ. მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ყველა ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს და დახმარებას უწევს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს. ამ სამსახურების უფროსები აღნიშნავენ, რომ ბენეფიციარების უმეტესობას ქალები წარმოადგენენ. ფოკუს ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა, რომ ქალები კარგად არიან ინფორმირებულნი სოციალური დახმარების ყველა პროგრამაზე[40].

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

ოჯახში ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული როგორც ქართულ, ისე უმცირესობათა თემში. ოჯახში ძალადობის ძირითადი მსხვერპლნი ქალები არიან, თუმცა ამაზე ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს, რადგან ძალადობის მსხვერპლნი არასოდეს ასაჯაროებენ ოჯახურ პრობლემებს. მთელ რეგიონში არ არსებობს ქალთა დროებითი თავშესაფარი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის დონე ძალიან დაბალია. უმცირესობათა ქალები ნაკლებად არიან მმართველობის ორგანოებში წარმოდგენილნი. ადგილობრივ საბჭოებში (საკრებულოებში) უმცირესობის ქალები არჩეულნი არიან მხოლოდ ბორჯომში (ბერძენი), ახალციხეში (სომეხი) და ნინოწმინდაში (სომეხი/ქართველი). რაც შეეხება გამგეობებს, ექვს მუნიციპალიტეტში უმცირესობის მხოლოდ 45 ქალია

39 „რეგიონს ჰყავს 2.1 ექიმი ყოველ 1000 მოსახლეზე. ეს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. თანამედროვე ტექნიკის უქონლობა და პერსონალის გადამზადების შეზღუდული შესაძლებლობები ნეგატიურად აისახება რეგიონის მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე.“ http://static.mrdi.gov.ge/52f9bfb50cf298a857ab7d59.pdf გვ. 7

40 წყარო: http://static.mrdi.gov.ge/52f9bfb50cf298a857ab7d59.pdf გვ. 7

დასაქმებული. მათ არა აქვთ ენის ბარიერი, ზოგიერთ შემთხვევაში კი დამთავრებული აქვთ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლა.

ქალებმა ახალციხესა და ახალქალაქში აღნიშნეს, რომ ისინი დაინტერესებულები არიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და წარმომადგენლობითობის საკუთარი უფლებების რეალიზებაში. სწორედ ამიტომ რამდენიმე მათგანმა წამოაყენა წინადადება, რომ შემოღებული იქნეს სპეციალური კვოტების სისტემა საკრებულოებსა და გამგეობაში. მამაკაცებმა აღნიშნეს, რომ ეს სავსებით მისაღები იქნებოდა მათთვისაც.

საჭიროებები: ზრდასრულთა განათლება; უკეთესი პოლიტიკური წარმომადგენლობა; გენდერული თანასწორობის საკითხები; ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარება; კრიზისული ცენტრების დაარსება
პრიორიტეტები: ქართული ენის სწავლება; სკოლაში ქართული ენის სწავლების მეტი საათები; ქართულიდან სომხურად თარგმნილი სახელმძღვანელოების უფრო მაღალი ხარისხი; ნინოწმინდაში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება

5.2. რუსი დუხობორი ქალები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

რუსი დუხობორები, მალაკნების მსგავსად, საქართველოში 150 წელიწადზე მეტია ცხოვრობენ. ეს თემი ძირითადად ნინოწმინდის ერთ სოფელშია დასახლებული. 2000-იან წლებში დუხობორების რუსეთში მიგრაციის შედეგად ისინი ძირითადად სოფელ გორელოვკაში (დაახლოებით 150 მოსახლე) არიან კონცენტრირებულნი. ქალები თემის დაახლოებით 40%-ს შეადგენენ, თუმცა ამის თაობაზე სანდო სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. ამჟამად გადინების პროცესი შეჩერდა, მაგრამ რუსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად სულ რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა.

სოფლის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მთავარი პრობლემაა იმ ადგილობრივი ქალებისთვის, ვინც სოფელში დარჩენილ მოსახლეობაზე ზრუნავს. დუხობორები ინარჩუნებენ ტრადიციებს და ჩვეულებებს, მათ შორის ყოველკვირეულ ჯგუფურ ლოცვას ძველი ინტერნატის შენობაში (ე.წ. „სიროტსკი დომ“). შენობას განცხადების შეტანიდან 6 წლის შემდეგ მუზეუმის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ორი მოხელის დაქირავებას აპირებს შენობის მოსავლელად, თუმცა ის გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს, სამინისტრო კი არაფერს აკეთებს ამისთვის.

ინფრასტრუქტურა
სოფელში ინფრასტრუქტურა ძალიან მოუწესრიგებელია, მხოლოდ რამდენიმე კომლს აქვს წყალი. არ არის ბუნებრივი აირის მიწოდება. ყველაზე ახლოს მდებარე ურბანული ცენტრია ნინოწმინდა, სადაც მოსახლეობას შეუძლია საკვების და ინვენტარის შეძენა.

განათლება
გორელოვკაში არის ერთი საჯარო სკოლა, სადაც სულ 32 მოსწავლე სწავლობს, აქედან 26 დუხობორი. მართალია, სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ სკოლაში არ აქვთ ახალი წიგნები. მასწავლებლები განსაკუთრებით რუსული ენის და ლიტერატურის წიგნებზე წუხან. სწავლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ძირითადად სომხურ უნივერსიტეტებში აბარებენ რუსული ენის ცოდნის გამო. რაც შეეხება ქართულ უნივერსიტეტებს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აქ მხოლოდ სამმა დუხობორმა გააგრძელა სწავლა. გორელოვკაში არის საბავშვო ბაღიც ძირითადად ქართველი/სომეხი აღმზრდელებით.

დასაქმება და შემოსავლის წყარო
დუხობორთა თემის წარმომადგენლები მესაქონლეობის სფეროში არიან თვითდასაქმებულები, თუმცა ამჟამად ისინი წუხან, რომ აღარ აქვთ საკმარისი საძოვრები. მათი მიწები სომეხმა ბიზნესმენებმა და თუშებმა შეისყიდეს, რომლებიც ამ მიწებს თავიანთი ცხვრების საძოვრად იყენებენ. ზოგი ქალი სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. თემის კომუნალური ხასიათის გამო, პრივატიზაციის პერიოდში მათ მოითხოვეს მიწების საერთო სახით გადაცემა, თუმცა ეს ასე არ მოხდა და მათ ყველას ინდივიდუალურად დაურიგდათ მიწები.

დუხობორი მამაკაცები ცდილობდნენ სამსახურის შოვნას ყარსი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. სამშენებლო კომპანიამ საკუთარი მუშახელი დაასაქმა, რის გამოც სომეხმა მოსახლეობამაც ვერ შეძლო დასაქმება და, შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლება.

ჯანდაცვა

დუხობორებთან ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების მხრივ სერიოზული პრობლემა დგას. სოფელში არ არის ამბულატორია, ხოლო სოციალურ პროგრამებზე ინფორმაცია საერთოდ არ ვრცელდება. ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო ქართულ და სომხურ ენებზე მომუშავე ტელევიზიებია.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა
სოციალური მომსახურება ნინოწმინდაში ხელმისაწვდომია, თუმცა თემი ძირითადად თავად უზრუნველყოფს საკუთარ თავს ნათესავებისგან მიღებული დახმარების და პენსიების ხარჯზე. ენის ბარიერი და განაცხადების შეტანის რთული სისტემა ხელს უშლის მათ, სახელმწიფოსგან მიიღონ დახმარება, ხოლო ბიუჯეტის სიმცირე გამორიცხავს სოციალურ მომსახურებაზე მათ წვდომას.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში
დუხობორი ქალები მონაწილეობას არ იღებენ საჯარო ცხოვრებასა და სამოქალაქო აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არსებობს ქალთა და მასწავლებელთა მიერ დაარსებული დუხობორების არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ ვერ შეძლეს მინიმალური დაფინანსების მოპოვებაც კი. მათი აქტივობები შემოიფარგლება კულტურული მემკვიდრეობის ადგილების მოვლა-პატრონობით და სათემო ცხოვრების ორგანიზებით.

საჭიროებები: ქართულ მედიით რუსულ ენაზე ინფორმაციის მიღება; მიწის ხელმისაწვდომობა
პრიორიტეტები: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; ბავშვთა სახლი; სახელმძღვანელოები რუსულ ენაზე; ჯანდაცვა

6. ბოშა ქალები

ბოშა ქალების საჭიროებების შესასწავლად კვლევა ჩატარდა სამ ყველაზე დიდ დასახლებაში, სადაც ბოშები მუდმივად ცხოვრობენ და აქვთ საქართველოს მოქალაქეობა - ქობულეთში, ქუთაისსა და თბილისში.

ცხრილი №5:
ბოშათა თემი

დასახლება	ადამიანების რაოდენობა	გოგონების /ქალების რაოდენობა
ქობულეთი	250-300	65%
ქუთაისი	300 -350	70%
თბილისი	200-250	65%

ევროპაში ტერმინი „ბოშა“ გულისხმობს ერთი და იმავე ცხოვრების წესის მქონე რამდენიმე ჯგუფს. საქართველოში ის იხმარება „ციგანთან“ ურთიერთმონაცვლეობით, თუმცა სინამდვილეში საქართველოში ცხოვრობს საკუთარი იდენტობის მქონე მათი ხუთი ჯგუფი:

- ბოშები - ყველაზე დიდი ჯგუფი (დაახლოებით 800 ადამიანი);
- ლომები - მომცრო ჯგუფი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში;
- დომები - ძირითადად ცხოვრობენ აზერბაიჯანში, თუმცა დროებით საცხოვრებლად ჩამოდიან საქართველოში;
- ქურთულ ენაზე მოლაპარაკე მიგრანტი ხალხი, რომელიც ცხოვრობს ქუთაისსა და თბილისში (150);
- მოლდოველები (700).

კვლევა ჩატარდა თბილისში სამგორის რაიონში და „აფრიკის“ დასახლებაში მცხოვრებ ბოშებზე. ამ ჯგუფის წევრები ძირითადად აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან და საქართველოში რეგულარულად ჩამოდიან საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად. რადგან საქართველო მათი მუდმივი საცხოვრებელი არ არის, მათ უწევთ შეჭირვებულ პირობებში ცხოვრება.

ქობულეთის თემი ორმოცდაათიანელების[41] რელიგიური წეს-ჩვეულებებით ცხოვრობს[42], რაც განსხვავებულ დამოკიდებულებას გულისხმობს განათლებასთან, მუშაობასთან და წესების დაცვასთან მიმართებაში. თუმცა ეს პატივისცემა არ ვრცელდება გენდერულ საკითხებზე, ქალები ასრულებენ სამუშაოს უდიდეს ნაწილს როგორც სახლში, ისე გარეთ, მაშინ, როცა მამაკაცები ძირითადად დროებით სამსახურს ეძებენ.

ბოშებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა იურიდიული საკითხებია, მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღება. თუ ქუთაისსა და თბილისში ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია (ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც საქართველოს მოქალაქეა), ქუთაისსა და სხვა დასახლებებში ეს კვლავ პრობლემად რჩება. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად ადამიანს სჭირდება რამდენიმე დოკუმენტის მოგროვება და შემდეგ განაცხადის შეტანა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოსაკრებელი 50-130 ლარს უტოლდება, რისი გადახდაც მათ არ შეუძლიათ. არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან მათ რეგისტრაციასა და მოსაკრებლის გადახდაში.

ინფრასტრუქტურა

ბოშებს არ აქვთ ძირითად ინფრასტრუქტურაზე წვდომაც კი, რადგან ისინი ურბანული ცენტრებიდან მოშორებით ცხოვრობენ. მათთვის რთულია კომუნალური გადასახადების გადახდაც. ელექტროენერგიის გადასახადი ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის.

41 ზოგიერთი ქრისტიანისგან განსხვავებით, ორმოცდაათიანელებს აერთიანებთ რწმენა, რომ მას შემდეგ, რაც სულიწმინდა ქრისტეს გადარჩენას ცოდვილს მიანიჭებს, მორწმუნეს ჩაუდგება სულიწმინდა, რასაც, როგორც ბევრ ადამიანს მიაჩნია, ადასტურებს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი. (http://www.religionfacts.com/christianity/denominations/pentecostalism/summary_of_pentecostal_theology.htm)

42 Ekaterine Chitanava, „Between Sinful and Righteous: Conversion to Pentecostalism in a Roma community in Georgia” MA thesis CEU, Budapest, 2013 http://www.etd.ceu.hu/2013/chitanava_ekaterine.pdf

განათლება

ქალთა უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარია, თუმცა ბოშური ენის გარდა ლაპარაკობენ რუსულადაც. ყველას აქვს სურვილი, ისწავლოს ქართული ენა. კვლევამ გამოავლინა, რომ ბოშა ქალებს სურთ, დაეუფლონ რაიმე პროფესიას, რათა მონახონ უკეთესი სამსახურები. მაგალითად, ქობულეთში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ პროფესიულ კოლეჯში სწავლის საშუალება, რადგან ყველაზე ახლოს მდებარე სასწავლებელი არის ბათუმში, რასაც სჭირდება ტრანსპორტირების ხარჯები და დრო. ამავდროულად არ არის ქართული ენის შემსწავლელი კურსები[43].

ქობულეთში მცხოვრებ ბოშა ქალებს ესმით მათი შვილებისთვის განათლების მნიშვნელობა და 48 ბოშა ბავშვი რეგულარულად დადის სკოლაში. თავდაპირველად სკოლაში იყო დისკრიმინაცია, განსაკურებით სხვა ბავშვების მშობლების მხრიდან, თუმცა სკოლის დირექტორის (ქართველის) მეცადინეობის შედეგად დისკრიმინაცია სკოლაში აღარ ხდება. სხვა თემებში ბავშვები სკოლაში იშვიათად დადიან.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

ქალები ოჯახში მთავარი შემომტანები არიან. ისინი ჩართულნი არიან ვაჭრობაში. თუმცა ქობულეთში 20 ბოშა ქალი სტაბილურად მუშაობს მეეზოვედ. მართალია, შემოსავალი ძალიან ცოტაა (80 ლარი თვეში), მაგრამ ოჯახის ბიუჯეტის სტაბილურობას მაინც უზრუნველყოფს. იმის გამო, რომ ამ სამსახურისთვის საჭიროა დილით ადრე ადგომა, ქალები ახერხებენ, რომ პარალელურად ჩართულნი იყვნენ წვრილმან ვაჭრობაში. ქმრები ნაკლებად არიან შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართულნი. ბოშური ოჯახის საშუალო შემოსავალი 150-180 ლარს შორის მერყეობს.

თბილისში, სამგორსა და აფრიკის დასახლებაში მცხოვრები ბოშები ძირითადად სოციალური დახმარებით, მათხოვრობითა და მკითხაობით ირჩენენ თავს. ისინი დღეში დაახლოებით 5-7 ლარს გამოიმუშავებენ.

43 2010 წელს ღია საზოგადოების ფონდმა დააფინანსა კვლევითი პროექტი "ბოშების და მოლდოველების ეთნიკური ჯგუფები - ინტეგრაციის პრობლემები და სამოქალაქო ჩართულობა". 150 ქურთულ ენაზე მოსაუბრე ცხოვრობს თბილისსა და ქუთაისში European Center on Minority Issues-Caucasus "Support and development of Roma community in Georgia

ჯანდაცვა

მართალია, ბოშა ქალები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები აქვთ, ფლობენ სახელმწიფო დაზღვევის პოლისს, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებებში მათ ყურადღებას არ აქცევენ და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებენ. მჭიდროდ ჩასახლების გამო ხშირია დაავადებების გავრცელება ბავშვებსა და ქალებში. მათ მკურნალობას დისკრიმინაციული ხასიათი აქვს. იშვიათია მათთვის უფასო დახმარების გაწევა. თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ან ავადმყოფი, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება. იყო შემთხვევა, როცა ჰეპატიტით დაავადებულ ბავშვს არ უმკურნალეს საავადმყოფოში. შესაბამისად, მისი სახლში ყოფნის შედეგად დაავადება ოჯახის სხვა წევრებზეც გავრცელდა.

ბოშა ქალებს ხშირად უარს ეუბნებიან სამშობიარო დაწესებულებებში მიღებაზე, ამიტომ მათ უწევთ სახლში მშობიარობა. ისინი მიუთითებენ ამ მხრივ დისკრიმინაციულ მიდგომებზე.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა

ბოშა ქალები დახმარებას ძირითადად ადგილობრივი მთავრობისგან ითხოვენ ხოლმე, რადგან ცენტრალური დონე მათთვის მიუღწეველია. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რომ არიან ოჯახები, რომლებიც შეტანილები არიან მოწყვლად ოჯახთა სიაში, თუმცა არ იღებენ დახმარებას ბიუჯეტის სიმცირის გამო. ისინი დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციებსაც სთხოვენ. ხშირ შემთხვევაში სიღარიბის შემსწავლელი სოციალური აგენტები საოჯახო ტექნიკას (მაგალითად, მაცივარს) ქონებად მიიჩნევენ, რის გამოც შემდეგ სოციალურ შემწეობაზე უარს ეუბნებიან. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არ ვრცელდება ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებზე, მაგ. შშმ პირების დახმარებაზე.

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

ბოშა ქალები არ იღებენ მონაწილეობას რაიმე ტიპის ღონისძიებებში განათლების უქონლობის და წერა-კითხვის უცოდინრობის გამო. ამას ადასტურებს არჩევნებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელიც. ისინი არ აძლევენ ხმას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს არ აინტერესებს მათი პრობლემები. არ არსებობს ბოშების მიერ დაარსებული რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და მათ ძირითადად

სხვა ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ. ახლახან დაარსდა ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „უმცირესობების უფლებების დაცვა“, თუმცა მას მხოლოდ ერთი ბოშა ქალი შეუერთდა.

ქალები აღიარებენ ოჯახში ძალადობას, თუმცა გამორიცხავენ სასამართლოს წესით მის მოგვარებას. არის არაოფიციალური განქორწინებები, ვინაიდან ბოშები ოფიციალურად არ ქორწინდებიან. განქორწინების შემთხვევაში ქალებს აქვთ ოჯახის შენახვის ვალდებულება, თუმცა არ აქვთ სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობა.

საჭიროებები: საბავშვო ბაღები; პირადობის დამადასტურებელი მოწმობები; სოციალური შემწეობის მიღება
პრიორიტეტები: განათლება - წერა-კითხვის სწავლა და ტრენინგები ქართულ ენაში; სამედიცინო მომსახურება; არადისკრიმინაციული მიდგომის წახალისება ადგილობრივ დონეზე, სოციალურ და სამედიცინო დაწესებულებებში.

---

7. მესხი ქალები[44]

მესხი ქალები 1944 წელს დეპორტირებულების შთამომავლები არიან, რომლებიც 1969 წლის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ. ყველაზე დიდი თემები ნასაკირალსა და იანეთშია. 1990-იან წლებში მდგომარეობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც ჩაის პლანტაციები განადგურდა[45]. დღესდღეობით მხოლოდ ახალგაზრდა თაობაა დარჩენილი და ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას, რომლებსაც სეზონურად თურქეთში სამუშაოდ წასვლა უწევთ.

ინფრასტრუქტურა
წყლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ წყლის საერთო ასავსებთან და ადამიანებს უწევთ მისი შორი მანძილებიდან მოტანა. გზები, განსაკურებით ნასაკირალში, დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. იანეთზე გადის ცენტრალური გზა ქუთაისიდან ბათუმამდე. გზების ცუდი მდგომარეობა და შეზღუდული რაოდენობის საჯარო ტრანსპორტი ართულებს ქალებისთვის ბავშვების სკოლაში წაყვანას.

გაზის მილი მიყვანილია სოფლებამდე, თუმცა სოფლებში დისტრიბუცია ჯერ არ მომხდარა.

განათლება
გოგონებისა და ქალების განათლების დონე იშვიათად სცდება 9 კლასს. უმეტესობა დადიოდა ქართულ სკოლაში და არის ორენოვანი (ქართული და თურქული). იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარნენ ახალგაზრდა გოგონებსა და ბიჭებს პროფესიული განათლების მიღებაში. მართალია, მათ მიიღეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განათლება, მაგრამ მაინც უჭირთ სამსახურის მოძებნა. რამდენიმე ქალს სურს იყოს საბავშვო ბაღის მასწავლებელი, თუმცა სიშორის გამო (ქუთაისში) ვერ ახერხებენ. უმაღლეს სასწავლებელში სწავლა მათთვის რთულია ფინანსური შეზღუდვების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მესხი ბავშვები, როგორც დეპორტირებული მოსახლეობა, სწავლების უპირატეს სისტემაში მოხვდა, ფინანსური შეზღუდულობა ამ შესაძლებლობას მიუწვდომელს ხდის.

დასაქმება და შემოსავლის წყარო
უმუშევრობა ყველაზე დიდი პრობლემაა. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცები უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, რათა დაეხმარონ თავიანთ ოჯახებს, ქალები კი ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობასა და სახლში დამზადებული პროდუქციის რეალიზაციაში. თუმცა ამ საქმიანობის ხარჯები შემოსავლის არაადეკვატურია ქუთაისში ან ბათუმში ტრანსპორტირების გამო. შემოსავლის წყაროებია პენსია და სოციალური შემწეობა.

ჯანდაცვა
სამედიცინო დახმარება შემოიფარგლება ოჯახის ექიმის რეკომენდაციებით და არა მკურნალობით. ქალებმა გამოთქვეს სურვილი, გინეკოლოგთან შეეძლოთ პროფესიული რეკომენდაციის მიღება.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა
მესხი ქალების უმეტესობას აქვს ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებზე - ჯამში 139 პირი იღებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის დახმარებას. უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა აშშ-ის გრანტის დახმარებით ჩაატარა ტრენინგი მესხი ქალებისთვის სოციალურ პროგრამებზე.

ქალები მიიჩნევენ, რომ დახმარების მიღების შეფასების სისტემა არ არის სამართლიანი. მათ სჯერათ, რომ ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობენ მეზობლის ტერიტორიაზე ქირით, ვერ შეძლეს მიეღოთ სოციალურ შემწეობა, რადგან სახლი, რომელიც არც არის მათ საკუთრებაში, კუთვნილ ქონებად ჩაითვალა.

44 იგულისხმება თურქი მესხები, რომლებმაც საქართველოში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დაიწყეს დაბრუნება და ოჯახებთან ერთად იზოლირებულ გარემოში დასახლდნენ დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციებით მდიდარ ადგილებში.

45 Sordia, Giorgi (2010) - Muslim Meskhetians and the issues of their repatriation. Solidarity 2010 #2(35)

ქალთა ჩართულობა საჯარო ცხოვრებაში

მესხი ქალების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ არსებობს. მართალია, ქალებს აქვთ სურვილი, დააარსონ საინიციატივო ჯგუფი და დაწერონ პროექტები თემის სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად, ფინანსური რესურსების უქონლობა წარმოუდგენელს ხდის ამ ყოველივეს.

ახალგაზრდა თაობამ გამორიცხა ოჯახში ძალადობის შემთხვევები თემში. მაგრამ ფოკუს ჯგუფის მხოლოდ ერთმა მონაწილემ აღიარა, რომ ყოველთვის არის ძალადობის ფაქტები თემში. ამასთან ერთად, ყველას აქვს მიდგომა, რომ „ეს არის ოჯახის საქმე და არავის აქვს მასში ჩარევის უფლება“.

საჭიროებები: 9 კლასს ზემოთ სწავლის გაგრძელება; ოჯახში ძალადობა; ინფრასტრუქტურა - ბუნებრივი აირი და გზები

პრიორიტეტები: ზრდასრულთათვის განათლებაზე წვდომა; საჯარო ტრანსპორტი; ჯანდაცვა

8. საბაზისო კვლევის დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკურ უმცირესობებში მკვეთრად არის გამოხატული მაღალი დონის კოლექტივიზმი, არსებობს გენდერული იერარქია, მშობლები მკაცრ კონტროლს ახორციელებენ ახალგაზრდა გოგონებზე, არის განათლების დონესთან, ოჯახის ტიპებთან და საკუთრების უფლების გაზიარებასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

მეორე მხრივ, არსებობს სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მომსახურებების რამდენიმე სისტემური ნაკლოვანება, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა ქალებს, ჰქონდეთ წვდომა ინ-ფორმაციაზე, სახელმწიფოს იურიდიულ მომსახურებასა და ჯანდაცვაზე. ასეთი შეზღუდვები, ენობრივ სირთულეებთან ერთად, ხელს უშლის ქალთა საგანმანათლებლო, ეკონომიკურ და საჯარო სფეროებში ჩართულობას.

ერთი მხრივ, ძირითადი საზოგადოებისგან იზოლაცია ხელს უწყობს ქალთა როლის ტრადიციული აღქმის გამყარებას, ხოლო მეორე მხრივ მამაკაცების სამსახურებრივი მიგრაცია მათ აკისრებს ოჯახის დე ფაქტო წინამძღოლის როლს. გენდერული საკითხები, ასევე ის, თუ როგორ მოაგვარონ პრობლემები ოფიციალური გზით და გამოიყენონ სამოქალაქო იურიდიული და სხვა სისტემები, არ არის სისტემურად განხილული და წარდგენილი ქალებისთვის.

კვლევამ გამოავლინა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ქალებს, განსაკურებით კი მცირე ჯგუფებს, დაახლოებით ერთი და იგივე საჭიროებები აქვთ - თუმცა პრიორიტეტები შედარებით განსხვავებული, მათი მდგომარეობის, სოციალურ-კულტურული ფაქტორებისა და ასაკის გათვალისწინებით.

- **ერთნაირი საჭიროებები - განსხვავებული პრიორიტეტები**
  - გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა
  - გაუმჯობესებული განათლება, მათ შორის ქართული ენის სწავლება
  - გაუმჯობესებული სოციალური და სამედიცინო მომსახურებები
  - სოციალური და იურიდიული მომსახურებების ხელმისაწვდომობა საცხოვრებელთან ახლოს
  - მშობლიური ენის სწავლებით კულტურული მემკვიდრეობის და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება
- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**
  - ქალთა უფლებები და შესაძლებლობები (ჩართულობა, სამოქალაქო აქტივობა)
  - ქალები ოჯახში (ქორწინება, საკუთრების უფლებები)
  - ქალები როგორც შემომტანნი ოჯახში (ტრენინგები, ზრდასრულთა განათლება)

8.1. ინდიკატორები

ცვლილების გამზომი ინდიკატორების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მომსახურებათა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესზე დაკვირვებასა და მონიტორინგს. ამ შემთხვევაში კვლევის მონაცემთა საფუძველზე შემდეგი ინდიკატორები შეიძლება გამოიყოს:

ცხრილი №6:
შესრულების შემოთავაზებული ინდიკატორები

ინდიკატორი	უმცირესობის გენდერული კრიტერიუმები
ოჯახის ტიპი	გაფართოებული, ნათესაური, ნუკლეარული
საკუთრების უფლება	მემკვიდრეობა, საზიარო ან პირადი საკუთრება
სახელმწიფო იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა	ადგილობრივ დონეზე მომსახურების ხელმისაწვდომობა
სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა	სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა – სოციალური დახმარების მიღების შეფასების სისტემის ცვლილება
ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა	სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა
განათლების დონე	უმაღლესი, ზრდასრულთა, პროფესიული, სრული საშუალო განათლება
დასაქმება და შემოსავლის წყაროები	ტრადიციულისგან განსხავებული დასაქმების ფორმები; არაფორმალურის გარდა სხვა შემოსავლის წყაროები (მათ შორის გადარიცხვები)
კულტურული მემკვიდრეობა და მშობლიური ენა	კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და სასწავლო სისტემაში მშობლიური ენების სწავლება
ოჯახში ძალადობა	ძალადობის (ფიზიკური თუ ეკონომიური) გამოვლენა

8.2. კრიტერიუმები

აუცილებელია, სასწრაფოდ შემოღებული იქნეს **გენდერული და უმცირესობათა კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.** ასეთი მონაცემების არსებობა საშულებას ქმნის, დავაკვირდეთ ეთნიკურ უმცირესობათა ქალებისთვის მომსახურების, განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობას.

კიდევ ერთი კრიტერიუმი იქნებოდა **ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება** და მისი განხორციელება ეთნიკურ უმცირესობათა ქალებთან მიმართებაში.

უნდა შემუშავდეს დებულება **გენდერული და უმცირესობათა საკითხების შესახებ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის** ფარგლებში, **სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო სტრატეგიისა და უმცირესობათა ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის** გენდერულ და უმცირესობათა საკითხებთან კოორდინირებით (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი).

უმცირესობათა ენების დაცვის მიზნით დაკმაყოფილებული უნდა იქნეს კრიტერიუმი - **ევროსაბჭოს რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირება**, რისი ვალდებულება საქართველომ 1999 წელს აიღო, და შემუშავდეს შესაბამისი ზომები უმცირესობათა ენების სკოლებში სასწავლებლად და სასწავლად.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობათა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების სისტემურ გადაწყვეტას სახელმწიფო დონეზე.

9. რეკომენდაციები

ძალიან ცოტა კვლევა და ლიტერატურა არსებობს საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა მცირე ჯგუფების ქალების შესახებ. იმედია, წინამდებარე ანგარიში ხელს შეუწყობს ამ თემების მდგომარეობის უკეთ შესწავლას.

უმცირესობათა ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების, აგრეთვე მომსახურებების მიმწოდებელი სტრუქტურების შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იქნა შემდეგი თორმეტი რეკომენდაცია, რომლებიც უმცირესობების ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ პრინციპებს წარმოადგენს:

მთავარი რეკომენდაციები

- სოფლად ცენტრალურ დასახლებებში სათემო ცენტრების დაარსებით საჯარო მომსახურების წვდომის გაუმჯობესება. ეს ცენტრები იუსტიციის სახლების ფუნქციასაც შეასრულებენ;
- ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სოციალური უზრუნველყოფის შეფასების სისტემის გამარტივება;
- ზრდასრულთათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ხელშეწყობა მათი პროფესიული კვალიფიკაციის გაუმჯობესების და, შესაბამისად, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ასევე წერა-კითხვისა და ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება;
- სასწავლო საათების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესაძლებლობის მიცემა, ისარგებლოს სკოლის შენობებით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და თანამედროვე ტექნოლოგიების შესასწავლად;
- პროფესიული სწავლების და სხვა ტიპის განათლების წახალისება იმ გოგონებისა და ბიჭებისათვის, ვინც ტოვებს სკოლას, სახლთან ახლოს;
- ქართული ენის ადგილობრივად სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მშობლიური ენის სწავლების აღდგენა სასკოლო სისტემაში;
- მუნიციპალიტეტების უფლება-მოვალეობების გაფართოება და გამგეობებში გენდერული საკოორდინაციო ცენტრების შექმნა, აგრეთვე ქალთა მობილიზება სამსახურებზე განაცხადების შესატანად;
- ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო მმართველობის სკოლის იმ კომპონენტის გააქტიურება, რომელიც ეხება უმცირესობების გადამზადებას საჯარო სამსახურში სამუშაოდ;
- ეთნიკურ უმცირესობათა ქალებს შორის გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და ოჯახში ძალადობის - როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური ძალადობის - პრობლემის მოგვარება;

გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაში ეთნიკურ უმცირესობათა ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა.

10. ბიბლიოგრაფია

Beyond Statistics: The Informal Economy in Rural Georgia. 2012. H Bradbury and N Samsharadze for Mercy Corps and the Swiss Agency for Development and Cooperation. http://allianceskk.ge/files/pdf/Beyond%20Statistics%20The%20Informal%20Economy%20in%20Rural%20Georgia%20August%202012.pdf ნანახია 23/03/2014

Corrin, Chris. 1992. Superwoman and the double burden: Women's experience of change in Central and Eastern Europe and the former Soviet Union. Second Story Press: Toronto.

Domestic violence, domestic conflicts and juveniles 2007-2011. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში http://www.police.ge/uploads/images/2012/ ნანახია 23/03/2014

Dudwick, Nora. 1997. 'Out of the kitchen into the crossfire: women in independent Armenia.' Post-Soviet Women: From the Baltic to Central Asia. Edited by Mary Buckley. Cambridge: Cambridge University Press.

Gender Analysis 'Market Alliances against Poverty.' 2011. Swiss Agency for Development and Cooperation and Mercy Corps. http://www.alliances.ge/images/stories/alliances/booklets/Alliances%20SJ%20Gender%20Survey%202%20%20May%202011.pdf ნანახია 23/03/2014

Elisabeth Dunan/USAID: 2010. Gender Assessment Georgia. http://transition.usaid.gov/our_work/crosscutting_programs/wid/pubs/Georgia_Gender_Assessment_Jun-2010_508.pdf ნანახია 23/03/2014

N Sumbadze and G. Tarkhan-Mouravi, 2004, Gender & Society in Samtskhe-Javakheti. 2004. Institute for Policy Studies. http://pdc.ceu.hu/archive/00002459/01/Gender_in_Samtskhe_last.pdf ნანახია 23/03/2014

Georgia National Public Opinion Survey on Remittances. 2007. European Bank for Reconstruction and Development and Benedixen & Associates Georgia National Public Opinion Survey on Remittances. 2007. http://www.ebrd.com/downloads/sector/etc/surge.pdf ნანახია 23/03/2014

International Crisis Group, 2011, The Javakheti Region's Integration Challenges. Europe Briefing No 63 (May).

Kamm, Elke. 2010. 'The Pride of Being Kidnapped: Women's Views on Bride Kidnapping in Tetriskaro, Georgia.' Caucasus Analytical Digest. No. 42, September.

საქართველო, 2006, კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ http://www.legislationline.org/documents/id/16680 ნანახია 23/03/2014

Lohm, Hedwig. 2007. Javakheti after the Rose Revolution. ECMI Working Paper No 38. http://edoc.bibliothek.unihalle.de/servlets/MCRFileNodeServlet/HALCoRe_derivate_00001850/English%20Version.pdf ნანახია 23/03/2014

Lomsadze, Giorgi. 'The Virginity Institute. Sex and the Georgian Woman.' Online Article. Eurasia.net: http://www.eurasianet.org/node/61048 ნანახია 23/03/2014

Migration and Return in Georgia: Trends, Assessment, and Potential. 2007. Caucasus Research Resources Centres. http://crrccenters.org/store/files/Projects/DRC-CRRC%20Migration%20Trends%20Study%20final%2030JAN2008.pdf ნანახია 23/03/2014

Minorities in 2012 Parliamentary Elections Observatory. 2012. ECMI Caucasus http://www.ecmicaucasus.org/upload/Post_elelction_observations.pdf ნანახია23/03/2014

Naskidashvili, Mariam. 2011. 'How Does Gender Determine Roles and Behaviors of Women

in and outside of Georgian Families?' Caucasus Research Resources Center. http://crrccenters.org/store/files/Reports/Mariam%20Naskidashvili_How%20Gender%20Determines%20Role%20and%20Behavior%20of%20Women%20in%20and%20outside%20a%20Family%20in%20Georgia.pdf ნანახია 23/03/2014

National Research on Domestic Violence against Women in Georgia. 2010. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საბოლოო ანგარიში: http://www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/AdvanceVersions/GeorgiaAnnexX.pdf ნანახია 23/03/2014

Prasad, Conor. 2012. Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy? ECMI Working Paper #58.

Reproductive Health Survey Georgia 2010 National Center for Disease Control and Public Health in Georgia; the Georgian Ministry of Labor Health and Social Affairs; the Centers for Disease Control and Prevention (Atlanta, USA), UNFPA, USAID, and UNICEF. http://www.ncdc.ge/uploads/publications/angarishebi/GERHS_2010_%20Final%20Report%20%20ENGL.pdf ნანახია 23/03/2014

http://static.mrdi.gov.ge/52f9bfb50cf298a857ab7d59.pdf, p.9 ნანახია 23/03/2014

Sanikidze, George. 2007. 'Islamic Resurgence in the Modern Caucasus Region: Global and Local Islam in the Pankisi Gorge.' Empire, Islam, and Politics in Central Eurasia. Edited by Tomohiko Uyama. Slavic Research Center.

N. Sumbadze & G. Tarkhan-Mouravi Gender & Society in Samtskhe-Javakheti, Georgia, Institute for Policy Studies, Tbilisi 2004 http://pdc.ceu.hu/archive/00002459/01/Gender_in_Samtskhe_last.pdf ნანახია 23/03/2014

Study of Multi-Ethnic Society in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti. 2011. Civil Development Agency. http://kvemokartli.ge/files/files/kvleva%20eng1.pdf ნანახია 23/03/2014

Study of Social and Economic Conditions and Attitudes of Kvemo Kartli Population. 2011. Swiss Agency for Development and Cooperation and the Institute of Social Studies and Analysis. http://www.swiss -cooperation.admin.ch/georgia/en/Home/DOCUMENTS_PUBLICATIONS ნანახია 23/03/2014

Tohidi, Nayereh. 1996. 'Soviet in Public, Azerbaijani in Private.' Women's Studies International Forum. Vol. 19(1/2).

Wheatley, Jonathan. 2009. The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia. ECMI Working Paper #44. http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_44_en.pdf ნანახია 23/03/2014